დემოკრატია და ადამიანის უფლებები

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი

მრავალფეროვნება, პოზიციების თანაკვეთა და თავისუფალი სივრცეები

ლევან კახიშვილი, დავით კეშელავა, გიორგი პაპავა, დავით სიჭინავა

აგვისტო 2021

ქართულ პოლიტიკურ კომპასზე პარტიათა უმეტესობა ან მემარცხენე და კულტურულად კონსერვატიულია ანდა ლიბერალური და მემარჯვენე მიდრეკილების მქონე. ეს ნიშნავს, რომ ორგანზომილებიან იდეოლოგიურ ველზე, რომელსაც წინამდებარე კვლევა ეყრდნობა, ორნაირი იდეოლოგიური ვაკუუმია შექმნილი - მემარცხენე-ლიბერალური და მემარჯვენე-კონსერვატიული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ამ ღირებულებების მქონე ამომრჩევლები ქართულ პოლიტიკაში არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი.

ამ ანგარიშში გამოყენებული მონაცემები არ ადასტურებს საქართველოში უკიდურესი პოლარიზაციის არსებობას. თუ გავითვალისწინებთ ორ უმსხვილეს პოლიტიკურ პარტიას - ქართული ოცნებას და ნაციონალურ მოძრაობას - მონაცემები აჩვენებს, რომ 30 საკითხიდან ამ ორ პარტიას ნახევარზე ერთი და იგივე პოზიცია აქვს.

ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობას მკვეთრად გამოხატული სიმპათიები აქვს დასავლეთისა და ევროკავშირისადმი, მხარს უჭერს მინიმალური ხელფასის კანონით განსაზღვრას, დაგროვებითი პენსიის სქემაში ნებაყოფლობით ჩართვას და გადასახადის გაზრდას ბიზნესებისთვის, რომლებიც გარემოს აბინძურებენ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი

მრავალფეროვნება, პოზიციების თანაკვეთა და თავისუფალი სივრცეები

სარჩევი

	შეჯამება	2
1.	**შესავალი**	4
2.	**ზოგადი მიმოხილვა**	6
3.	**მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები**	9
4.	**ქართველ ამომრჩეველთა მოკლე მიმოხილვა**	11
4.1	ამომრჩეველთა იდეოლოგიური ორიენტაცია: მემარცხენე-მემარჯვენე VS ლიბერალურ-კონსერვატიული	11
4.2	ამომრჩეველთა პრეფერენციები ცალკეული განცხადებების მიხედვით	14
4.3	ამომრჩეველთა იდეოლოგიური ორიენტაცია სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით	16
5.	**საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პარტიები, იდეოლოგიები და პოლიტიკა**	20
5.1	არასათანადოდ წარმოდგენილი იდეოლოგიური პოზიციები	22
5.2	პარტიათა დაჯგუფებები	22
5.3	რა განასხვავებთ მათ: „ქართული ოცნება“ VS „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	25
5.4	დასკვნები	27
6.	**ამომრჩევლებისა და პარტიების სიახლოვე**	28
6.1	ამომრჩეველთა იდეოლოგია და პარტიული პრეფერენციები	
	პარტიათა პოზიციებიდან ამომრჩეველთა	28
6.2	იდეოლოგიური დაშორება	31
6.3	მიუმხრობელი ამომრჩევლები	33
7.	**დასკვნა**	34
7.1	პოლიტიკური იდეოლოგიების თანმიმდევრულობა და მნიშვნელობა	34
7.2	პოლარიზაცია	36
7.3	პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირი	37
	დანართები	40

შეჯამება

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, არამედ არჩევნების შემდეგაც. პოლიტიკურ პარტიათა უმეტესმა ნაწილმა რამდენიმე თვის განმავლობაში ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს და საპარლამენტო პოლიტიკის განახლება მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის ძალისხმევით გამართული მედიაციის პროცესის შედეგად გახდა შესაძლებელი. იმისათვის რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და მათი პოლიტიკური ხედვების შესახებ ამომრჩეველს ინფორმაციის მიღება შესძლებოდა, შეიქმნა ხმის მიცემის საკონსულტაციო აპლიკაცია (VAA) - საქართველოს საარჩევნო კომპასი. აღნიშნული ინტერაქტიული ხელსაწყო შეიქმნა იმისათვის, რომ ამომრჩევლებს კომპლექსურ პოლიტიკურ ლანდშაფტზე გზის გაგნებაში დახმარებოდა და, ამავდროულად, შეეგროვებინა უნიკალური მონაცემები, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ქართული პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩევლების პოლიტიკური პრეფერენციების შედარებას. კომპასი 30 კითხვისაგან შედგება, მოიცავს პოლიტიკის ხუთ სხვადასხვა სფეროს და იდეოლოგიური სიბრტყეზე ორ, მემარჯვენეობა-მემარცხენეობისა და ლიბერალურ-კონსერვატიულ განზომილებას ქმნის. იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის 23 სექტემბრისა და 2020 წლის 22 ნოემბრის შუალედში კომპასი დაახლოებით 38 000-ჯერ იქნა გამოყენებული, შეგროვებული მონაცემები ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა საქართველოში ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციების, პოლიტიკურ ლანდშაფტზე პოზიციონირების მოდელებისა და პარტიებისა და ამომრჩევლების პოზიციათა თანხვედრის შესახებ.

ძირითადი მიგნებები: ამომრჩეველთა პრეფერენციები

- ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში რიგითი ქართველი ამომრჩეველი უფრო მარცხნივ იხრება, ხოლო იდეოლოგიური სიბრტყის სოციო-კულტურულ განზომილებაში კი უფრო ლიბერალურია. თუმცა, მემარცხენე-მემარჯვენეობის სკალაზე ამომრჩევლები გაცილებით უფრო გაბნეულები არიან, ვიდრე კონსერვატორულ-ლიბერალურ სკალაზე. ამავდროულად, ამომრჩევლები, რომლებიც ეკონომიკურად მემარჯვენეობისაკენ იხრებიან, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ლიბერალიზმისაკენ.

- ზემოხსენებულ მოდელებზე არსებით გავლენას ვერ ახდენს გეოგრაფიული განაწილება ანდა განათლების დონე. თუმცა, ამომრჩეველთა პრეფერენციები იცვლება გენდერული, ასაკობრივი და ეთნიკური ნიშნით. ქალებს უფრო მეტად აქვთ მემარცხენე ეკონომიკური პრეფერენციები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები გაცილებით უფრო ლიბერალურები არიან, ხოლო 50 წელს გადაცილებული ადამიანები გაცილებით უფრო ნაკლებად არიან ლიბერალურები, ვიდრე ახალგაზრდები. ამავდროულად, ეკონომიკურად მემარჯვენე პრეფერენციები თითქმის მთლიანად 50 წელზე ნაკლები ასაკის მქონე მოქალაქეებში გვხვდება.

- პოლიტიკური თვალსაზრისით ამომრჩეველთა შეხედულებები განსაკუთრებით პოლარიზებულია მიწის პოლიტიკასთან, ნარკოპოლიტიკასა და სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხოლო ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემოს დამბინძურებელი ბიზნეს კომპანიების მაღალი გადასახადით დაბეგვრა, დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობითი ჩართვა და ქვეყნის პროდასავლური საგარეო პოლიტიკა, ამომრჩეველთა პოზიციები თანხვედრისკენ არის მიდრეკილი.

- ეკონომიკასთან, ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე რიგითი ამომრჩეველი ცენტრიდან მარცხნივ არის გადახრილი. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, რიგითი ამომრჩევლის შეხედულებით, კანონით უნდა იყოს აკრძალული საარსებო მინიმუმზე დაბალი ანაზღაურების გადახდა ყოველთვიური ხელფასის სახით; სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს წამლის ფასი; და ჯანდაცვა უნდა იყოს საყოველთაო და უფასო. ამავდროულად, 35 წლის და მეტი ასაკის ქალები, ეთნიკურად ქართველები, განათლების ქვედა საფეხურზე მყოფი და სოფლად მცხოვრები ადამიანები უფრო მეტად არიან ცენტრიდან მარცხნივ გადახრილები.

- წარმომადგენლები, ეთნიკურად ქართველები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და სოფლად მცხოვრები ამომრჩეველი უფრო მეტად კონსერვატიულია, რაც გამოიხატება ისეთი იდეებისადმი წინააღმდეგობაში როგორიცაა მოსამართლეთა პირდაპირი გზით არჩევა და მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზება.

- საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, ლიბერალური დამოკიდებულებები დომინირებს, მაგალითად, საქართველოს პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკის სახით, თუნდაც ეს რუსეთთან ურთიერთობების გაუარესების რისკებს მოიცავდეს. ასეთი პოზიცია განსაკუთრებით მყარად არის გამჯდარი მამაკაც ამომრჩევლებში, რომლებიც 35 წელზე ახალგაზრდები არიან, არიან ეთნიკურად ქართველები, ცხოვრობენ ქალაქებში და რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

- და ბოლოს, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში ქალებს, ახალგაზრდა ამომრჩევლებს, თბილისის მაცხოვრებლებს და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს გაცილებით უფრო ლიბერალური შეხედულება აქვთ. ამგვარი ლიბერალური შეხედულებები შესაძლოა გულისხმობდეს იმ ბიზნესების მაღალი გადასახადით დაბეგვრას, რომლებიც გარემოს აბინძურებენ; ანდა რელიგიური ინსტიტუციების, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე უარის თქმას.

ძირითადი მიგნებები: ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი

- •ქართული პოლიტიკური პარტიები ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეზე ძირითადად დიაგონალურად არიან განლაგებულები ქვედა მარცხენა კუთხიდან ზედა მარჯვენა კუთხის მიმართულებით. შესაბამისად, იქმნება ორგვარი იდეოლოგიური ვაკუუმი: მემარცხენე-ლიბერალური და მემარჯვენე-კონსერვატიული. აღნიშნულ ორ კვადრატში მხოლოდ და მხოლოდ ორი პარტია ხვდება: „თავისუფალი დემოკრატები“ და „თავისუფალი საქართველო“. ამგვარად, ამომრჩევლები, რომლებსაც ზემოაღნიშნული ღირებულებები აქვთ, ქართულ პოლიტიკაში არასათანადოდ არიან წარმოდგენილები. მონაცემების თანახმად, ამომრჩეველთა 44% მემარცხენე-ლიბერალურ კვადრატში ხვდება, ხოლო დაახლოებით 3% მემარჯვენე-კონსერვატიულ კვადრატში.

- •ზემოხსენებული ორი პარტიის გარდა, ქართული პოლიტიკური პარტიები შესაძლოა ოთხ იდეოლოგიურ ბლოკად დავყოთ: მემარცხენე, მემარჯვენე-ლიბერალურ, მემარცხენე-კონსერვატიულ და ცენტრისტულ ბლოკებად. აღნიშნული დაჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან მემარცხენე ბლოკში ხუთი პარტია ერთიანდება, მათ შორის „ქართული ოცნება,“ რომელთაც, თანმიმდევრული იდეოლოგიური საფუძვლის არ გააჩნიათ. ოთხი პარტიისაგან დაკომპლექტებულმა, სიდიდით მეორე მემარჯვენე-ლიბერალურმა ბლოკმა, რომელშიც ხვდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“, მეტნაკლებად უკეთ შეძლო შეხედულებების კონსოლიდირება.

- •30 პოლიტიკური საკითხიდან, არც ერთი არ წარმოადგენს ვალენტურ საკითხს, ანუ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც ყველა პარტიას ერთი და იგივე პოზიცია ექნება. ვალენტობასთან ყველაზე ახლოს მდგომია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ზოგიერთი თემა, თუმცა მემარცხენე-კონსერვატიულ ბლოკს აქაც განსხვავებული პოზიცია გააჩნია. პარტიები ყველაზე უფრო პოლარიზებულები მინიმალურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით არიან, რომლის შესახებაც არც ერთ პარტიათა ბლოკს არ გააჩნია ისეთი მკაფიო პოზიცია, რომელსაც ბლოკში შემავალი ყველა პარტია გაიზიარებდა.

- „ქართული ოცნება“ და |ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამომრჩეველს განსხვავებული ტიპის პოლიტიკას სთავაზობს. მემარჯვენე-მემარცხენე განზომილებაში, “ქართული ოცნება“ მხარს უჭერს კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოებას, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კეთილდღეობის სახელმწიფოს შეზღუდვისაკენ იხრება. კონსერვატიულ-ლიბერალურ განზომილებაში, „ქართული ოცნება“ კონსერვატიული შეხედულებებისაკენ არის გადახრილი, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ლიბერალურისაკენ. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ეთნიკური უმცირესობისათვის საკუთარ ენაზე სახელმწიფო მომსახურებების მიღებას, აღნიშნული პარტიები საპირისპირო პოზიციებს იკავებენ (ამ საკითხთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ უფრო ლიბერალურია,“ ნაციონალური მოძრაობა“ კი კონსერვატიულ პოზიციაზეა). დაბოლოს, „ქართული ოცნება“ მხარს უჭერს გარემოს დაცვას ახალი რეგულაციების მაგ., გადასახადების შემოღების მეშვეობით; :“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კი უფრო ლიბერტარიანული მიდგომისკენ იხრება

ძირითადი მიგნებები: პარტიებისა და ამომრჩევლების სიახლოვე

- იდეოლოგიური დისტანცია პარტიებსა და მათ მხარდამჭერთა შორის იცვლება. ცხრა პარტიიდან, რომლებმაც ერთი საპარლამენტო მანდატის მოპოვება მაინც შეძლეს , მემარცხენე ბლოკს - „ქართულ ოცნებასა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ - საშუალოდ ყველაზე ნაკლები დაშორება აქვს ამომრჩევლებთან. მემარჯვენე-ლიბერალური ბანაკიდან ოთხი პარტია - „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, „მოქალაქეები“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ამავე რიგითობით ყველაზე მეტად არიან დაშორებულები თავიანთი მხარდამჭერებისაგან.

- შეგროვებული მონაცემები ასევე იძლევა გარკვეული წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას მიუმხრობელი ამომრჩევლების შესახებ, რომლის თანახმადაც, ასაკით უფროსი ამომრჩევლები უფრო ნაკლებად არიან აფილირებულნი პოლიტიკურ პარტიებთან. ამავდროულად, კულტურულად ლიბერალური ამომრჩევლები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი, რომ მიუმხრობლები იყვნენ, ხოლო ისინი, ვინც მხარს უჭერენ სახელმწიფოს შეზღუდულ ჩარევას, უფრო მეტად არიან ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებულნი.

1

შესავალი

პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობა წარმომადგენლობით დემოკრატიაში უდავოა. ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის კონსოლიდირება ქვეყანაში ჯერაც ვერ მოხდა. თუმცა, პარტიული პოლიტიკის გაანალიზება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. ერთი მხრივ, ის, რასაც პოლიტიკური პარტიები არჩევნებამდე სთავაზობენ ამომრჩეველს ხშირად იდეოლოგიურად არათანმიმდევრულია (ბარქაია და კვაშილავა 2020[1]). მეორე მხრივ, არსებობენ ამომრჩევლები, რომლებსაც თავიანთი წარმოდგენები აქვთ თუ რას უნდა სთავაზობდნენ მათ პოლიტიკური პარტიები. მაგალითად, 2018 ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ ამომრჩეველთა მხოლოდ 13%-ს მიაჩნია, რომ პარტიები მათი და მათნაირი ადამიანების ინტერესებს გამოხატავენ (კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრი[2] 2018), ხოლო 2020 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 20% ფიქრობს, რომ საარჩევნო დაპირებები და პლატფორმები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პარტიების ცალკეული ლიდერების პერსონალური შეფასება (კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრი[3] 2020). ამ მონაცემების მიხედვით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს პარტიათა იდეოლოგიურ პოზიციებს. მიუხედავად ამისა, მოცემულობა ასეთია, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები აქვეყნებენ წინასაარჩევნო დეკლარაციებს და საზოგადოებას აცნობენ თავიანთ პოლიტიკურ პრეფერენციებს. ეს შესაძლებელს ხდის სპეციფიკურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ცალკეულ პარტიათა პოზიციების განსაზღვრას და სხვადასხვა პარტიის პოზიციების ერთმანეთთან შედარებას. ამავდროულად, შესაძლებელია რომ ამომრჩევლებს კონკრეტული კითხვები დავუსვათ და განვსაზღვროთ მათი იდეოლოგიური პოზიციები. დაბოლოს, შესაძლებელია ორი ტიპის მონაცემთა შედარება დასკვნების გამოსატანად იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად მყარია იდეოლოგიური კავშირები ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშს სამი მთავარი მიზანი აქვს. ანგარიში ცდილობს პასუხი გასცეს სამ მთავარ შეკითხვას:

- როგორ ახდენენ ამომრჩევლები საკუთარი თავის პოზიციონირებას მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით?
- როგორ არიან წამყვანი პოლიტიკური პარტიები პოზიციონირებულები მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში?
- რა მიმართება არსებობს პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის, მათი იდეოლოგიური პოზიციების კუთხით?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გასაცემად ჩვენ განსაკუთრებით ხელსაყრელ პოზიციაში ვართ, ვინაიდან ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება მონაცემებს, რომლის შეგროვებაც მოხდა ხმის მიცემის საკონსულტაციო აპლიკაციის (VAA) - საქართველოს საარჩევნო კომპასის შემუშავების პროცესში.[4] კომპასზე მუშაობდა ქართველ მკვლევართა ჯგუფი კავკასიის კვლევითი რესურსცენტრი (CRRC) საქართველოდან, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტიდან (GIP) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტიდან (ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტი). პროექტს მხარს უჭერს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გერმანული პოლიტიკური ფონდები და ნიდერლანდების სამეფო, ხოლო პროექტის განხორციელებაში ჩართულები არიან აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, კონრად ადენაუერის ფონდი და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). მეთოდოლოგიური ექსპერტიზა და კომპიუტერული უსაფრთხოება უზრუნველყო Kieskompas-მა, ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებულმა კომპანიამ, რომელიც სპეციალიზირდება ხმის მიცემის საკონსულტაციო აპლიკაციების განვითარებაში.

„საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ ორი მიზანი ჰქონდა: საგანმანათლებლო და აკადემიური. ინტერაქტიული ხელსაწყო, კომპასი შეიქმნა იმისათვის, რომ დახმარებოდა ქართველ ამომრჩევლებს, პოლიტიკური

1 https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/საქართველოს-პოლიტიკური-ლანდშაფტი_მეორე-გამოცემა_2020_EECMD.pdf

2 https://caucasusbarometer.org/en/nd2018ge/PPINTER/

3 https://caucasusbarometer.org/en/na2020ge/PPROINLE/

4 https://kompasi.partiebi.ge/

პარტიების უკეთ შესწავლაში (რომლებიც მათი ხმების მისაღებად იბრძვიან) და კომპლექსურ პოლიტიკურ ლანდშაფტზე გზის გაგნებაში. საარჩევნო კომპასი ამომრჩევლებს აძლევდა არა რჩევას თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა, არამედ შესაძლებლობას, რომ თავად დაენახათ თუ რომელი პარტია ან პარტიები დგას ყველაზე ახლოს მათ ღირებულებებთან და იდეოლოგიურ პოზიციებთან. ხოლო ის თუ როგორ გამოიყენებდნენ ამ ინფორმაციას ამომრჩევლები ხმის მიცემისას, მთლიანად მათზე არის დამოკიდებული. გარდა ამისა, საარჩევნო კომპასი წარმოადგენს გამოკითხვის ჩასატარებელ ხელსაწყოს თამაშის ელემენტებით. მისი მეშვეობით შესაძლებელია მონაცემების შეგროვება როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე ამომრჩევლების შესახებ. მონაცემების გაანალიზება მკვლევრებს შესაძლებლობას აძლევს, გააკეთონ მნიშვნელოვანი დასკვნები ქართული პარტიული პოლიტიკისა და პარტიებისა და ამომრჩევლების ურთიერთმიმართების შესახებ. საერთო ჯამში, 2020 წლის 23 სექტემბრისა და 2020 წლის 22 ნოემბერს შორის პერიოდში საარჩევნო კომპასი დაახლოებით 38 000-ჯერ იქნა გამოყენებული. მომხმარებლები პასუხობდნენ 30 კითხვას, რომელიც შეიქმნა პარტიებისა და ამომრჩევლების, ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეზე განლაგების მიზნით. აღნიშნული ორი განზომილება გულისხმობდა ეკონომიკური თვალსაზრისით მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებასა და კულტურულად ლიბერალურ-კონსერვატიულ განზომილებებს.

ანგარიშის მომდევნო ნაწილი მოკლედ აღწერს გასული წლის პოლიტიკური დინამიკის მთავარ მახასიათებლებს, რაც წინ უძღვოდა 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებს, რასაც მოსდევს „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ შექმნისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა და ინფორმაცია აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენებით შეგროვებულ, ამომრჩეველთა მონაცემების შეზღუდვებზე. მომდევნო სამი ქვეთავი კი მონაცემთა ანალიზს ეთმობა. ქვეთავი ქართველი ამომრჩევლების მოკლე მიმოხილვის შესახებ აღწერს ტენდენციებსა და მოდელებს, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში ამომრჩეველთა პოზიციონირების შესახებ გამოვლინდა; რასაც მოსდევს ქართული პოლიტიკური ლანდშაფტისა და პარტიების პოზიციონირების ანალიზი მემარცხენე-მემარჯვენე და ლიბერალურ-კონსერვატიულ ორგანზომილებიანი სიბრტყეში. შემდეგი ქვეთავი ერთმანეთთან აკავშირებს ორი ტიპის მონაცემებს და აანალიზებს ქართველ ამომრჩეველთა და პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგიურ სიახლოვეს. დაბოლოს, ანგარიშის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის ძირითადი მიგნებები.

2

ზოგადი მიმოხილვა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები უჩვეულო კონტექსტში ჩატარდა. გარდა იმისა, რომ, როგორც ყოველთვის, დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობდა, უშუალოდ ეს საარჩევნო პერიოდი ორი რამის გამო იყო გამორჩეული. პირველი, შეცვლილი საარჩევნო წესების გამო კოალიციური მთავრობის პერსპექტივა შესაძლოა პირველად ქცეულიყო რეალობად. და მეორე, Covid-19-ის მიმდინარე პანდემიამ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ პროცესებს ხელი შეუშალა და არჩევნების შესაძლო გადადების შესახებაც კი გააჩინა კითხვები.

ახალი წესები, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შემოიღეს, დროებით წესებს წარმოადგენდა. მათი მიღება საარჩევნო სისტემის რეფორმირებისათვის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოხდა. მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ კონსტიტუციური შესწორებები მიიღო, რომლის თანახმადაც, შერეულ საარჩევნო სისტემას სრულად პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა ჩაანაცვლებს 2024 წლის არჩევნებისთვის, ზეწოლა, რომ ახალი წესები უკვე 2020 წლის არჩევნებიდან ამოქმედებულიყო 2019 წლის ივნისიდან დაიწყო. 20 ივნისს, ფართომასშტაბიანი საპროტესტო ტალღა აგორდა, მას შემდეგ, რაც რუსმა პარლამენტარმა „კომუნისტური პარტიიდან“, სერგეი გავრილოვმა, რომელიც ასევე მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (IAO) გენერალური საბჭოს პრეზიდენტი გახლდათ, რუსულ ენაზე სიტყვით მიმართა ასამბლეის დელეგატებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან.[5] მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების აღშფოთება რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის სიმბოლურად დარღვევის აღქმას მოჰყვა, პროტესტის მონაწილეთა მოთხოვნები საშინაო პოლიტიკაზე იყო ფოკუსირებული. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო საარჩევნო სისტემის რეფორმირება და ერთმანდატიანი ოლქების გაუქმება. „ქართული ოცნება“ დანებდა და დასთანხმდა, რომ შეიტანდა სათანადო საკონსტიტუციო ცვლილებებს, რათა 2020 წლის არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარებულიყო.

[5] Civil Georgia. (2019). Opposition, Civic Activists Gather to Protest Russian Delegation's Visit to Tbilisi. [online]. Available at: https://civil.ge/archives/309241

რამდენიმე თვის შემდეგ, 2019 წლის ნოემბერში, დაპირებული საკანონმდებლო ინიციატივა კონსტიტუციურ შესწორებებთან დაკავშირებით პარლამენტში ჩავარდა. „ქართული ოცნება“ შეეცადა, რომ მოვლენათა ეს მოულოდნელი განვითარება შიდაპარტიული დემოკრატიის გამოვლინებად წარმოეჩინა, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ამომრჩეველთა იმედგაცრუებას ეს ვერ აანაზღაურებდა. 2019 წლის ნოემბრის ბოლოს, „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყეს მოლაპარაკებები, თუ როგორ უნდა გაგრძელებულიყო პროცესები, მას შემდეგ, რაც საარჩევნო სისტემის ცვლილება ჩავარდა. აღნიშნული პროცესი შეწყდა ოპოზიციური პარტიების მიერ 2020 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთს ლიდერს, გიგი უგულავას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თუმცა, ამერიკელი და ევროპელი დიპლომატების ჩარევით, იმავე თვის ბოლოს მოლაპარაკებები განახლდა. საბოლოოდ, პროცესი 8 მარტის შეთანხმებით დასრულდა.

შეთანხმება ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს 2020 წლის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით:

- მაჟორიტარი პარლამენტარების რიცხვი მცირდებოდა 73-დან 30-მდე;
- საარჩევნო ბარიერი პროპორციული არჩევნებისათვის განისაზღვრა 1%-ით;
- დაწესდა ჩამკეტი მექანიზმი, რომლის თანახმადაც, ხმების 40%-ზე ნაკლების მიღების შემთხვევაში ცალკე აღებულ ერთ პარტიას საპარლამენტო ადგილების უმრავლესობის აღების შესაძლებლობა ერთმეოდა;[6]

პარლამენტმა დაამტკიცა შემოთავაზებული ცვლილებები და არჩევნები ახალი წესების თანახმად ჩატარდა. ახალმა წესებმა რეალურად გახადა შესაძლებელი კოალიციური მთავრობის არსებობა საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად. შედეგად, ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყეს მოლაპარაკებები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ოპტიმალურ გზებზე. ამ მხრივ, შესაძლოა გამოვყოთ თანამშრომლობის ორი მთავარი მიმართულება. პირველი,

[6] https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/Memorandum-of-Understanding.pdf

ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ ერთმანეთის კანდიდატებს თბილისის ერთმანდატიან ოლქებში. და მეორე, პარტიებმა მიაღწიეს კონსენსუსს ცალკეულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიც არის სასამართლო სისტემის რეფორმირება.[7]

საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც არ არსებობს მტკიცე დემოკრატია, ოპოზიციური პარტიები, როგორც წესი, არამომგებიან პოზიციაში იმყოფებიან, მაშინ, როდესაც მმართველ პარტიას ხელი მიუწვდება ადმინისტრაციულ და მნიშვნელოვნად დიდ ფინანსურ რესურსებზე. ამიტომაც, წინასაარჩევნო კამპანიები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გადაუწყვეტელი ამომრჩევლების მიმხრობისთვის, რომლებიც საქართველოში საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, 2020 წლის აგვისტოში, პოტენციურ ამომრჩეველთა 2/3 ვერ სცემდა პასუხს კითხვაზე თუ ვის მისცემდა ხმას, ხვალ რომ არჩევნები ყოფილიყო, ხოლო დამატებით 9% ასახელებდა, რომ არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას (იხ. სურათი 1.1).[8] მიუხედავად ამისა, ქართული პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ ამომრჩეველთა მოზიდვას საარჩევნო კამპანიების მეშვეობით, რომელიც Covid 19-ის პანდემიამ შეაფერხა.

პანდემიამ პოლიტიკური შერკინების არენაზე ძირითადად ორი მხრივ მოახდინა გავლენა. პირველ რიგში, მთავრობის მიერ გატარებულმა ზომებმა შეზღუდა პოლიტიკური მობილიზაციის ტრადიციული გზები, როგორიცაა, მაგალითად, საჯარო დემონსტრაციები. ხოლო, როდესაც ამგვარი დემონსტრაციების ორგანიზება ხერხდებოდა, მაშინაც საზოგადოებაში წინააღმდეგობრივი შეხედულებები ჩნდებოდა. მეორე რიგში, პანდემიამ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების თავდაპირველმა ეფექტიანმა საპასუხო ზომებმა, შეეჩერებინათ ვირუსის გავრცელება, სამთავრობო ინსტიტუციებისადმი საზოგადოების ნდობა გაზარდა.[9] მთავრობისადმი ნდობა კი გადაითარგმნება როგორც ნდობა პარტიის კომპეტენტურობისადმი, რომელიც მთავრობის ფორმირებაზეა პასუხისმგებელი. საზოგადოების აღქმის მიხედვით, ყველაზე კომპეტენტური პარტია ჯანდაცვის საკითხებში „ქართული ოცნება“ იყო,[10] ხოლო პანდემიის საწყისი ეტაპის ეფექტიანი მართვა, დიდი ალბათობით, პარტიას დაეხმარა. ოპოზიციური პარტიები შეეცადნენ საზოგადოებრივი დისკუსიის წამოწყებას ქვეყნის ჩაკეტვის ეკონომიკური შედეგების და მთავრობის მიერ დამატებითი მკაცრი ზომების შემოღების შესახებ, თუმცა, არ იყო ადვილი, რომ ამ იდეებს მხარდაჭერა მიეღო მაშინ, როცა უკვე არსებობდა დიქოტომიური გაგება სიცოცხლის გადარჩენა ან ეკონომიკის გადარჩენა.

საერთო ჯამში, პანდემიამ გავლენა მოახდინა როგორც საარჩევნო კამპანიებთან დაკავშირებულ გარემოზე, ასევე საზოგადოების განწყობებზე პარტიათა საქმიანობის შესახებ, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური პარტიების შემთხვევაში, თუმცა პანდემიის შედეგები, სავარაუდოდ, „ქართული ოცნებისათვის“ სასარგებლო გამოდგა. საბოლოოდ, არჩევნების თარიღი არ შეცვლილა. მიუხედავად პანდემიისა და ზოგიერთ საარჩევნო უბანზე გრძელი რიგებისა, საარჩევნო აქტივობამ 56%-ს მიაღწია, რაც 2016 წლის საარჩევნო აქტივობას ოდნავ აღემატება.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შედეგები გამოაცხადა, რომლის თანახმადაც, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ხმათა უმრავლესობა ისე, რომ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება არ დასჭირვებია. ოპოზიციამ კი, მიუხედავად იმისა, რომ შედეგები გაასაჩივრა, უარი თქვა 17 ერთმანდატიან ოლქში არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე და ახალი პარლამენტის ბოიკოტირება დაიწყო.

სურათი 1.1

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? (2020 წლის აგვისტოს მონაცემებით სავარაუდო ამომრჩეველთა %)



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსცენტრი. (2020). „NDI: Public attitudes in Georgia, August 2020“. ხელმისაწვდომი ბმულზე: https://caucasusbarometer.org/en/na2020ge/VOTPPEL/

7 https://tabula.ge/ge/news/641722-opozitsiuri-partiebi-sasamartlos-repormaze

8 The Caucasus Research Resource Centers. (2020). „NDI: Public attitudes in Georgia, August 2020“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://caucasusbarometer.org/en/na2020ge/VOTPPEL/

9 https://netgazeti.ge/news/469553/

10 http://gip.ge/wp-content/uploads/2019/03/Policy-brief-17-Levan-Kakhishvili.pdf

ცხრილი 1.1
2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

	პოლიტიკური პარტია	პროპორციულ არჩევნებში მიღებული ხმების %	საპარლამენტო მანდატების რაოდენობა
	ქართული ოცნება	48.22	90 (60 პროპორციული და 30 მაჟორიტარული წესით)
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	27.18	36
	ევროპული საქართველო	3.79	5
	ლელო	3.15	4
	სტრატეგია აღმაშენებელი	3.15	4
	პატრიოტთა ალიანსი	3.14	4
	გირჩი	2.89	4
	მოქალაქეები	1.33	2
	ლეიბორისტული პარტია	1.00	1

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

3

მეთოდოლოგია და კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება პროექტ საარჩევნო კომპასი - საქართველოს (https://kompasi.partiebi.ge) შედეგად მიღებულ მონაცემებს. ქართული პარტიების კომპასი გახლავთ ხმის მიცემის კონსულტაციის აპლიკაცია (VAA) რომელიც ეფუძნება Kieskompas-ის გუნდის შემუშავებულ მეთოდოლოგიას.[11, 12] აღნიშნული ხელსაწყო მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, რომ დააფიქსირონ თავიანთი დამოკიდებულებები სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე და შეაფასონ თავიანთი სიახლოვე კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფთან მიმართებაში. მოცემულ კითხვებზე გაცემული პასუხები იძლევა მომხმარებელთა ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეზე განთავსების შესაძლებლობას.

ასეთი აპლიკაციის შექმნა რამდენიმე საფეხურის გავლით ხდება. პირველ რიგში, პროექტის სამეცნიერო გუნდმა თავი მოუყარა 55 განცხადებას, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური დებატის შესაფერისი სხვადასხვა პოლიტიკური საკითხისადმი დამოკიდებულებების გაზომვის შესაძლებლობას იძლეოდა. მსჯელობის შედეგად, განცხადებების ჩამონათვალი 31-მდე შემცირდა. შემდგომში აღნიშნული განცხადებები თემატურად დალაგდა ხუთი მსხვილი კატეგორიის მიხედვით: ჯანდაცვა და განათლება, მართლმსაჯულება, საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები და ეკონომიკური განვითარება. ამის შემდეგ, განცხადებების კლასიფიცირება ეკონომიკური თვალსაზრისით მემარცხენეობა-მემარჯვენეობისა და კულტურული თვალსაზრისით ლიბერალური-კონსერვატიული ღერძების გასწვრივ მოხდა.

განცხადებების ჩამონათვალის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროექტის გუნდმა დაიწყო პოლიტიკურ პარტიათა პოზიციების კოდირება თითოეულ საკითხთან მიმართებით. პოლიტიკური ჯგუფების პოზიციების კლასიფიცირებისათვის კოდირების გუნდმა გამოიყენა პარტიათა ოფიციალური დოკუმენტები, პოლიტიკური ლიდერების განცხადებები და ამ უკანასკნელთა მიერ მედიაში გაკეთებული კომენტარები. ხმის მიცემის საკონსულტაციო სხვა აპლიკაციებისაგან განსხვავებით, Kieskompas-ის მეთოდოლოგია კოდირების შემდგომი კალიბრაციის შესაძლებლობას იძლევა, პოლიტიკური პარტიებისაგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით.[13] აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა საქართველოს შემთხვევაში, ვინაიდან ზოგიერთ პარტიას საჯაროდ არ აქვს განცხადებული პოზიცია აპლიკაციაში შესულ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში ყველაზე მრავალფეროვანი გამოდგა[14] რომელშიც საპარლამენტო მანდატებისთვის 60 პოლიტიკური პარტია და ბლოკი იბრძოდა.[15] ასეთი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, პროექტის გუნდმა გადაწყვიტა, რომ აპლიკაციაში მხოლოდ და მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები შეეყვანა, რომლებიც ცნობადობის თვალსაზრისით გარკვეულ სპეციფიკურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმისათვის რომ პოლიტიკური პარტია ხმის მიცემის საკონსულტაციო აპლიკაციაში მოხვედრილიყო, მას მოცემული ორი კრიტერიუმიდან ერთი მაინც უნდა დაეკმაყოფილებინა: პოლიტიკურ პარტიას ხმების 1%-ზე მეტი უნდა ჰქონოდა აღებული 2019 წლის ოქტომბრის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ გამოკითხვებში ან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში; ანდა იგი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 2016-2020 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტში. შედეგად, 16 პოლიტიკური პარტია შეირჩა (იხ. ცხრილი 5.1).

2020 წლის 23 სექტემბერს აპლიკაციის ამუშავებიდან ამავე წლის 22 ნოემბრამდე, პლატფორმაზე შეკითხვებს უპასუხა დაახლოებით 38 000-მდე ინტერნეტ მომხმარებელმა, რომლის შედეგადაც 19 000 სრულად შევსებული კითხვარით შეიქმნა მონაცემთა ბაზა. მომხმარებლები

11 Kieskompas, 'Kieskompas Voting Aid Application', 2021, https://www.kieskompas.nl/en/tools/

12 André Krouwel, Thomas Vitiello, and Matthew Wall, 'The Practicalities of Issuing Vote Advice: A New Methodology for Profiling and Matching', International Journal of Electronic Governance 5, no. 3/4 (2012): 223, https://doi.org/10.1504/IJEG.2012.051308

13 A. P. M. Krouwel, THOMAS Vitiello, and M. T. Wall, 'Voting Advice Applications as Campaign Actors: Mapping VAAs' Interactions with Parties, Media and Voters', in Matching Voters with Parties and Candidates. Voting Advice Applications in a Comparative Perspective (ECPR Press, 2014), 67–78.

14 CEC of Georgia, 'History of Elections in Georgia, 1919-2017 (საქართველოს არჩევნების ისტორია, 1919-2017)', 2018, https://history.cec.gov.ge/ENG/PDF/Elections.pdf

15 CEC of Georgia, 'Party lists of registered parties (რეგისტრირებული პარტიული სიები)', cesko.ge, 2020, https://cesko.ge/geo/list/show/120858-registrirebuli-partiuli-siebi-

საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებდნენ პოლიტიკასთან დაკავშირებული 31 საკითხის შესახებ ლიკერტის 5-ბალიან სკალაზე (სრულიად ვეთანხმები, ვეთანხმები, ნეიტრალური ვარ, სრულიად არ ვეთანხმები). გარდა ამისა, შეგროვებულ იქნა მონაცემები დამატებითი დემოგრაფიული ინფორმაციისა და პოლიტიკურ პარტიათა მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებების შესახებ.

რეპრეზენტაციული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისაგან განსხვავებით, რომელშიც რესპონდენტები შემთხვევითობის პრინციპით არიან შერჩეულნი, საარჩევნო კომპასი - საქართველო დაეყრდნო ინტერნეტ-მომხმარებლების თვითდინებად ხელსაყრელ შერჩევას, რომლებმაც ვებგვერდის რეკლამა ნახეს ინტერნეტში და რომელთაც გაუჩნდათ მონაწილეობის სურვილი.

შესაბამისად, შედეგების გარე ვალიდურობა, რომელიც მოგვცემდა დასკვნების გაკეთების საშუალებას იმაზე თუ რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა დაბალია. თუმცა, მონაცემთა ბაზის სიმდიდრე და უნიკალურობა გარკვეულწილად ამგვარ ნაკლოვანებას ანაზღაურებს. იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზები გათვალისწინებულიყო და საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა უკეთ ასახულიყო, მონაცემები შეწონილ იქნა განმეორებითი პროპორციული მორგების (გრძივი) ალგორითმის გამოყენებით. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების კალიბრაცია მოხდა საქართველოს 2014 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული ხმის მიცემის მიმართულებით.

ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა მონაცემთა კვლევითი და განმტკიცებითი ანალიზის (exploratory and confirmatory data analysis) სხვადასხვა ტექნიკას. რესპონდენტის პოლიტიკური აფილაციის ცვლადების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულ იქნა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი. ხოლო ისეთი ფარული ცვლადების იდენტიფიცირება და კალკულაცია, როგორიცაა სტატიზმი, კულტურული ლიბერალიზმი, მცირე მთავრობის მხარდაჭერა და პოლიტიკური მიუკერძოებლობა, მოხდა კვლევითი ფაქტორული ანალიზის მეშვეობით. ინტერვალებით ან კოეფიციენტის სკალებით გაზომილი ცვლადების უკეთ გამოსახვისათვის პროექტის გუნდმა კერნელის სიმკვრივის მრუდები გამოიყენა.

4

ქართველ ამომრჩეველთა მოკლე მიმოხილვა

4.1 ამომრჩეველთა იდეოლოგიური ორიენტაცია: მემარცხენე-მემარჯვენე VS ლიბერალურ-კონსერვატიული

ქვემოთ მოყვანილ სურათებში მოკლედ არის შეჯამებული ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციების განაწილება ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეზე (ეკონომიკურად მემარცხენე-მემარჯვენე და სოციო-კულუტურულად კონსერვატიული-ლიბერალური), „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ პლატფორმიდან მიღებული 19 000-ზე მეტ პასუხზე დაყრდნობით. როგორც მეთოდოლოგიაზე საუბრისას აღვნიშნეთ, ინდივიდუალური პასუხები შეწონილ იქნა ქართველი ამომრჩევლის ზოგადი სურათის მიღების მიზნით.

როგორც სურათი 4.1-დან ირკვევა, ქართველი ამომრჩევლები სოციო-კულტურული თვალსაზრისით უფრო ლიბერალად პოზიციონირებენ, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით რიგითი ამომრჩეველი უფრო მემარცხენეა. ამომრჩეველთა პრეფერენციები მჭიდროდ არის განაწილებული სოციო-კულტურულ განზომილებაში, ხოლო ეკონომიკურ განზომილებაში უფრო ფართოდ არის გაბნეული. ეს კი მიანიშნებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ქართველი ამომრჩევლები გაცილებით უფრო მრავალფეროვნები არიან, ვიდრე სოციო-კულტურული ნიშნით. მეტიც, ეკონომიკური პრეფერენციების მარჯვნივ დახრილი განაწილება მიანიშნებს რადიკალური მემარჯვენე ეკონომიკური ხედვების მქონე რესპონდენტთა ჯგუფის არსებობაზე. დიაგრამის ასეთი განლაგება მოსალოდნელიც იყო, თუკი გავითვალისწინებთ პოლიტიკურ პარტიათა მემარჯვენე-ლიბერალური ბლოკის იდეოლოგიურ პროფილს (მაგ. გირჩი და ევროპული საქართველო). ამის საპირისპიროდ, სოციო-კულტურულ სიბრტყეში განაწილება არ მიანიშნებს იდეოლოგიური უკიდურესობების არსებობაზე. სურათ 4.1-ზე წარმოდგენილი სითბური რუკა აჩვენებს რესპონდენტთა პრეფერენციების მაგნიტუდას ორ იდეოლოგიურ სიბრტყეში, სადაც ნაჩვენებია რომ ქართველ ამომრჩევლებში ლიბერალური და მემარცხენე შეხედულებები ჭარბობს.

გარდა ამისა, მონაცემები ცხადყოფს, რომ ორი იდეოლოგიური განზომილება მნიშვნელოვნად (P-მაჩვენებელი= 0.000) და პოზიტიურად (r=0.32) კორელირებს ერთმანეთთან. კორელაცია მიანიშნებს, რომ ქართველი ამომრჩევლებისთვის მემარჯვენეობა ასოცირდება ლიბერალურ სოციო-კულტურული შეხედულებების ქონასთან. ასეთი

სურათი 4.1

ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება ორ იდეოლოგიურ განზომილებაში (ეკონომიკურად მემარცხენიდან მემარჯვენისაკენ და სოციო-კულტურულადკონსერვატიულიდან ლიბერალურისაკენ) ქართველ ამომრჩევლებში*



* **კერნელის სიმკვრივე გახლავთ ცვლადის ალბათური განაწილების საზომი.**

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

კორელაცია თანხმობაში მოდის ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ პროფილთან: საარჩევნო კომპასი - საქართველოს მიერ დასახული პოლიტიკური ლანდშაფტი ცხადყოფს, რომ პარტიათა უმეტესობა („მოქალაქეები“, „გირჩი“, „ევროპული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), რომლებსაც ლიბერალური დღის წესრიგი აქვთ, ამავდროულად მემარჯვენე ორიენტაციაზე აკეთებენ არჩევანს, ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით.

განაწილების ზოგადი სურათი ორი იდეოლოგიური განზომილების ფარგლებში უმეტესწილად მსგავსია სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში: ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი მემარცხენე შეხედულებას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით ლიბერალურს. ხოლო რესპონდენტთა აღწერა დასახლების ტიპისა და მიღებული განათლების დონის მიხედვით ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ამომრჩევლები მცირედით უფრო ლიბერალიზმისა და ეკონომიკური თვალსაზრისით მემარჯვენეობისაკენ იხრებიან, ვიდრე განათლების ქვედა საფეხურზე მყოფი მოქალაქეები. ქალაქში მცხოვრებლები კი უფრო მეტად არიან ლიბერალიზმისა და ეკონომიკური მემარჯვენეობისაკენ გადახრილნი, ვიდრე სოფლად მცხოვრები ამომრჩევლები.

მიღებულ პასუხებში შესაძლებელია დავინახოთ გარკვეული კონტრასტები გენდერულად და ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფებში. კერძოდ, ქალებს უფრო მეტად მემარცხენე ეკონომიკური პრეფერენციები აქვთ ვიდრე კაცებს, ხოლო ეთნიკურად არაქართველები უფრო ლიბერალურები არიან, ვიდრე ეთნიკურად ქართველები (სურათი 4.2).

ცხრილი 4.1 იძლევა დამატებით ინფორმაციას ზემოთ მოყვანილ მონაცემთა განაწილებასთან დაკავშირებით იდეოლოგიურ განზომილებებში გენდერის, დასახლების ტიპის, განათლების დონისა და ეთნიკურობის ნიშნით ამომრჩეველთა პოზიციებს შორის არსებული განსხვავებების ჩვენებით. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ქალი ამომრჩევლები, საშუალოდ, უფრო ლიბერალურები და მემარცხენე მიდრეკილების არიან; სოფლად მცხოვრები ადამიანები უფრო კონსერვატიზმისა და მემარცხენე მიდრეკილებისაკენ იხრებიან; უმაღლესი განათლება კორელაციაშია უფრო ლიბერალურ და მემარჯვენე პრეფერენციებთან; ხოლო ეთნიკურად არაქართველები, საშუალოდ, უფრო ლიბერალიზმისა და მემარჯვენე პოლიტიკისაკენ იხრებიან.

სურათი 4.2

ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება ორ იდეოლოგიურ განზომილებაში გენდერის, დასახლების ტიპის, განათლების დონისა და ეთნიკური ნიშნით



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი 4.1
განსხვავება იდეოლოგიური განზომილებების ნიშნულებს შორის რესპონდენტთა გენდერის, დასახლების ტიპის, განათლების დონისა და ეთნიკური ნიშნის მიხედვით.

	შედარების ჯგუფი	კულტურულად ლიბერალური	ეკონომიკურად მემარჯვენე
ქალი	კაცი	0.02	-0.19
სოფლად მცხოვრები	ქალაქში მცხოვრები	-0.18	-0.22
უმაღლესი განათლების მქონე	უმაღლესი განათლების არ მქონე	0.08	0.21
ეთნიკურად არაქართველი	ქართველი	0.05	0.14

დაბოლოს, სურათ 4.3-ზე წარმოდგენილია ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ჩვენი დაკვირვებით, ორივე იდეოლოგიურ განზომილებაში ამომრჩეველთა პოზიციონირება დამოკიდებულია რესპონდენტთა ასაკზე. როგორც სურათი 4.3-დან ირკვევა, რესპონდენტები უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან (50 წელს ზემოთ) ნაკლებად კეთილგანწყობილნი არიან ლიბერალური პოლიტიკისადმი და უფრო მეტად ცენტრისტულ პოზიციას იკავებენ. გარდა ამისა, მიუხედავად საერთო ჯამში რესპონდენტთა მემარცხენე ეკონომიკური პროფილისა, მემარჯვენე იდეოლოგიისადმი სიმპათია თითქმის მთლიანად პირველ ორ ასაკობრივ ჯგუფში (50 წელს ქვემოთ ადამიანებში) არსებობს.

სურათი 4.3
ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება ორ იდეოლოგიურ განზომილებაში რესპონდენტთა ასაკის მიხედვით



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

შეჯამებისათვის, სხვადასხვა ჯგუფში ამომრჩეველთა საშუალო პოზიციათა გაანალიზებისას, ჩვენი დაკვირვებით, უფროს ასაკობრივ ჯგუფს მიკუთვნებული ამომრჩევლები თანმიმდევრულად უფრო კონსერვატიული და მემარცხენე მიდრეკილებისანი არიან.

4.2. ამომრჩეველთა პრეფერენციები ცალკეული განცხადებების მიხედვით

ანგარიშის ეს ნაწილი ეთმობა ცალკეულ განცხადებებზე ამომრჩეველთა მიერ 1-დან 5-მდე სკალაზე მონიშნული პასუხების ანალიზს, სადაც 1 ნიშნავს, რომ „სრულიად ვეთანხმები“ განცხადებას, ხოლო 5 ნიშნავს, რომ „სრულიად არ ვეთანხმები“. ცხრილი 4.2 აჯამებს ოთხი იდეოლოგიური მიმართულებიდან თითოეულის შემთხვევაში ორ ისეთ განცხადებას, რომელსაც ყველაზე ხშირად ეთანხმებოდნენ რესპონდენტები. პასუხების საშუალოდ დაგროვებული ქულები კვლავაც ცხადყოფს, რომ ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობა ემხრობა მინიმალური ანაზღაურების რეგულირებას, მხარს უჭერს დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით ჩართვას, გარემოს დაბინძურებაში მონაწილე ბიზნესებისთვის მაღალი გადასახადის დაწესებას და აქვს მკვეთრად გამოხატული სიმპათიები დასავლეთისა და ევროკავშირისადმი.

ცხრილი 4.2
ორი ყველაზე პოპულარული განცხადება თითოეულ იდეოლოგიურ მიმდინარეობაში

იდეოლოგიური მიმდინარეობა	განცხადება	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
ეკონომიკურად მემარცხენე	საარსებო მინიმუმზე ნაკლები ყოველთვიური ხელფასის გადახდა კანონით უნდა იკრძალებოდეს.	3,94	1,30
	სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები	3,68	1,39
ეკონომიკურად მემარჯვენე	დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი	4,16	1,05
	სახელმწიფო საავადმყოფოების პრივატიზება შეამცირებს მომხმარებლისთვის ჯანდაცვის ხარჯებს	3,04	1,25
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	კრიმინალის დონის შესამცირებლად სასჯელი უნდა გამკაცრდეს	3,57	1,30
	უნდა აიკრძალოს მიწის უცხოელებზე გაყიდვა	3,15	1,48
სოციო-კულტურულად ლიბერალური	იმ ბიზნესებმა, რომლებიც გარემოს აბინძურებენ, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახადი უნდა გადაიხადონ	4,24	1,03
	საქართველოს უნდა ჰქონდეს პროდასავლური კურსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რუსეთთან ურთიერთობებს გააუარესებს	4,05	1,15

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

მეტიც, მონაცემები მიანიშნებენ საინტერესო მიგნებებზე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ახლახან იქცა ქართული პოლიტიკური დისკურსის ნაწილად. მაგალითად, ამომრჩევლები სკეპტიკურად არიან განწყობილნი სავალდებულო გენდერული კვოტირებისადმი და საშუალოდ, არ ეთანხმებიან იდეას, რომ უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანა შესაძლოა ქართული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გარანტია იყოს.

გარდა სხვადასხვა განცხადებაზე რესპონდენტთა მიერ თანხმობის დონის შეჯამებისა (რომელიც საშუალო ქულითაა გაზომილი), ცხრილი 4.3 ასევე გვიჩვენებს ამა თუ იმ განცხადებასთან დაკავშირებით პოლარიზაციის დონეს, მიღებული პასუხების სტანდარტული გადახრის მეშვეობით. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტები ყველაზე მეტად პოლარიზებულნი მიწის პოლიტიკის, ნარკოპოლიტიკისა და სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებით არიან.

ცხრილი 4.3
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული განცხადების მიხედვით

განცხადების იდეოლოგიური მიმართულება	განცხადება	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	უნდა აიკრძალოს მიწის უცხოელებზე გაყიდვა	3,15	1,48
სოციო-კულტურულად ლიბერალური	მსუბუქი ნარკოტიკები ლეგალიზებული უნდა იყოს	3,01	1,47
ეკონომიკურად მემარცხენე	სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის დასაქმება	3,14	1,45
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	სკოლაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს	2,38	1,43
სოციო-კულტურულად ლიბერალური	სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაუქმდეს	3,39	1,42
ეკონომიკურად მემარცხენე	მდიდრებმა თავიანთი შემოსავლის უფრო დიდი წილი უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ბიუჯეტში	3,39	1,41
ეკონომიკურად მემარცხენე	სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადგილობრივი წარმო-ება უცხოური კონკურენციისგან იმპორტზე შეზღუდვების დაწესებით.	3,21	1,40
ეკონომიკურად მემარცხენე	სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები	3,68	1,39
ეკონომიკურად მემარცხენე	ჯანდაცვა უნდა იყოს საყოველთაო და უფასო	3,65	1,38
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	საქართველომ უნდა გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი	2,65	1,38
ეკონომიკურად მემარცხენე	სახელმწიფო სასწავლებლებში განათლება ყველა საფეხურზე უფასო უნდა იყოს	3,32	1,37
სოციო-კულტურულად ლიბერალური	თბილისმა სოხუმთან და ცხინვალთან უნდა გააფორმოს ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულება	2,82	1,35
ეკონომიკურად მემარცხენე	უნდა გაიზარდოს ჯანდაცვისა და განათლების სფეროების დაფინანსება, თუნდაც ამან გადასახადების გაზრდა გამოიწვიოს	3,27	1,34
სოციო-კულტურულად ლიბერალური	სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის ადგილობრივი მოსამართლეები უცხოელებმა უნდა ჩაანაცვლონ	2,73	1,33
ეკონომიკურად მემარცხენე	სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხა უნდა გაიზარდოს	3,66	1,32
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	კრიმინალის დონის შესამცირებლად სასჯელი უნდა გამკაცრდეს	3,57	1,30
ეკონომიკურად მემარცხენე	საარსებო მინიმუმზე ნაკლები ყოველთვიური ხელფასის გადახდა კანონით უნდა იკრძალებოდეს	3,94	1,30
სოციო-კულტურულად ლიბერალური	გარემოს დაცვის მიზნით დიდი ჰესების მშენებლობა უნდა აიკრძალოს	3,25	1,30
სოციო-კულტურულად ლიბერალური	სკოლაში მოსწავლეებმა უნდა მიიღონ სქესობრივი განათლება	3,63	1,29
სოციო-კულტურულად ლიბერალური	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში დასაშვებია სახელმწიფო მომსახურების უმცირესობების ენებზე მიღება	2,63	1,29
სოციო-კულტურულად ლიბერალური	გამონაბოლქვის შესამცირებლად უნდა აიკრძალოს მოძველებული მანქანები	3,46	1,28
სოციო-კულტურულად ლიბერალური	მოსამართლეები ხალხმა უნდა აირჩიოს	3,49	1,27
სოციო-კულტურულად ლიბერალური	ყველა არჩევნებზე პარტიულ სიაში ყოველი მეორე წევრი უნდა იყოს ქალი	2,53	1,27
ეკონომიკურად მემარჯვენე	სახელმწიფო საავადმყოფოების პრივატიზება შეამცირებს მომხმარებლისთვის ჯანდაცვის ხარჯებს	3,04	1,25
სოციო-კულტურულად ლიბერალური	რელიგიური ინსტიტუტები, მათ შორის, მართლმადიდებლური ეკლესია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს	3,97	1,25

განცხადების იდეოლოგიური მიმართულება	განცხადება	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
სოციო-კულტურულად ლიბერალური	სისხლის სამართლის ყველა საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განიხილონ	3,06	1,21
სოციო-კულტურულად ლიბერალური	საქართველოს უნდა ჰქონდეს პროდასავლური კურსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რუსეთთან ურთიერთობებს გააუარესებს	4,05	1,15
სოციო-კულტურულად კონსერვატიული	ევროკავშირთან ინტეგრაცია საფრთხეს უქმნის ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას.	1,79	1,11
ეკონომიკურად მემარჯვენე	დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი	4,16	1,05
სოციო-კულტურულად ლიბერალური	იმ ბიზნესებმა, რომლებიც გარემოს აბინძურებენ, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახადი უნდა გადაიხადონ	4,24	1,03

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

4.3. ამომრჩეველთა იდეოლოგიური ორიენტაცია სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით

ქართველი ამომრჩევლის იდეოლოგიური პოზიციების უკეთ მოსახელთებლად, მიღებული პასუხები გაანალიზდა „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ მიერ იდენტიფიცირებული ხუთი თემატური ჯგუფიდან თითოეულის მიხედვით: ჯანდაცვა და განათლება; მართლმსაჯულება; საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება; სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები; და ეკონომიკა. საგულისხმოა, რომ თითოეულ იდენტიფიცირებულ თემატურ ჯგუფში გაერთიანებული განცხადებები ამომრჩეველთა პრეფერენციებს სპეციფიკურ პარამეტრებთან მიმართებაში ზომავს. კერძოდ, ჯანდაცვასა და განათლებაში და ეკონომიკაში თემატურად დაჯგუფებული განცხადებებიდან თითოეული გამოიყენება ამომრჩევლის ჰორიზონტალურ ღერძზე განთავსებისათვის (მემარცხენიდან მემარჯვენეს მიმართულებით), ხოლო დანარჩენი ჯგუფები ზომავს ამომრჩევლის პრეფერენციებს ვერტიკალურ სოციო-კულტურულ განზომილებაში (კონსერვატიულიდან ლიბერალური მიმართულებით)

.

ქვემოთ მოყვანილი სურათი 4.4 მოკლედ აჯამებს ამომრჩეველთა პასუხებს სხვადასხვა პოლიტიკურ კრიტერიუმთან მიმართებაში. აშკარად თვალშისაცემია მემარცხენე ტენდენცია ეკონომიკის, ჯანდაცვისა და განათლების პოლიტიკის საკითხებში. შეხედულებები მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ძირითადად ცენტრში იყრის თავს, ხოლო სოციალურ და გარემოსდაცვით, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით კი უფრო ლიბერალური ტენდენციებია შესამჩნევი. დანართი 2-ში წარმოდგენილია აღნიშნული განაწილება თითოეული პოლიტიკური საკითხის შემთხვევაში, ჩაშლილი ამომრჩეველთა სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.

სურათი 4.4

კერნელის სიმკვრივე: ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება იდეოლოგიურ განზომილებებში სხვადასხვა პოლიტიკური საკითხთან მიმართებაში



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველოსა და ავტორთა გამოთვლები

დამატებით, ამომრჩევლები განვალაგეთ იდეოლოგიურ სკალაზე 1-დან 5-მდე, ეკონომიკურად მემარცხენე და სოციო-კულტურულად კონსერვატიულიდან (1) ეკონომიკურად მემარჯვენე და სოციო-კულტურულად ლიბერალურამდე (5), სადაც „3“ ქულით აღნიშნულია ცენტრისტული შეხედულებები. ცხრილებში 4.4 – 4.9 წარმოდგენილია ამომრჩეველთა პოზიციები სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლისათვის ცალ-ცალკე.

როგორც ცხრილი 4.4-დან ირკვევა, ამომრჩეველთა პოზიცია ჯანდაცვისა და განათლების საკითხებში ოდნავ მარცხნივ იხრება (2.6). თუმცა, ეს თემატური ჯგუფი, სხვა იდენტიფიცირებულ ჯგუფებთან შედარებით, სტანდარტული დევიაციის ყველაზე მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება (0.94).

საქართველოში ქალებს, კაცებთან შედარებით, პოლიტიკურად უფრო მემარცხენე პოზიცია აქვთ ჯანდაცვისა და განათლების საკითხებში (ცხრილი 4.5). განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებში მემარცხენე იდეებისადმი მხარდაჭერა მკვეთრად იზრდება ასაკობრივად მაღალ ჯგუფში (35 წლის ზემოთ) (ცხრილი 4.6) და საინტერესოა, რომ უფრო მეტად არის გავრცელებული i. ეთნიკურად ქართველ ამომრჩევლებში (ცხრილი 4.7), ii. უმაღლესი განათლების არ მქონე რესპონდენტებში (ცხრილი 4.9) და iii. სოფლად მცხოვრებ ელექტორატში (ცხრილი 4.8).

როგორც შედეგები ცხადყოფს, ზოგადი მემარცხენე დამოკიდებულება არსებობს (ცხრილი 4.4) ეკონომიკური საკითხებისადმი (საშუალო=2.80; სტანდარტული გადახრა=0.91). სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით მემარცხენე დამოკიდებულებები იზრდება ქალ ამომრჩევლებში, უფროს თაობაში, ეთნიკურად ქართველ ამომრჩევლებში, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასა და უმაღლესი განათლების არ მქონე ადამიანებში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები (18-35 წლის) უფრო მარჯვნივ იხრებიან, თუმცა ძალიან ახლოს არიან ცენტრისტულ პოზიციებთან (საშუალო=3.03).

ამომრჩეველთა შეხედულებები მართლმსაჯულების საკითხებზე ნაკლებად პოლარიზებულია (სტანდარტული გადახრა=0.73), გარკვეულწილად კონსერვატიულია (საშუალო=2.94) და ძალიან ახლოს დგას ნეიტრალურ დამოკიდებულებასთან (ცხრილი 4.4). ინფორმაციულად, ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია, თუკი გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ დისკუსიებს მართლმსაჯულების სავარაუდო რეფორმასთან დაკავშირებით; რომლის სამი უმთავრესი საკითხიც „საარჩევნო კომპასი - საქართველოში“ მოხვდა.[16] მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით კაცები ოდნავ უფრო ლიბერალურები არიან, ხოლო ქალებს გარკვეულწილად კონსერვატიული შეხედულებები აქვთ. ასევე, გარკვეულწილად, კონსერვატიული დამოკიდებულება არსებობს მართლმსაჯულების საკითხებისადმი i. ასაკოვან ადამიანებში, ii. ეთნიკურად ქართველებში, iii.უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეებსა და iv. სოფლად მცხოვრებ ამომრჩევლებში.

მნიშვნელოვნად თვალშისაცემია ამომრჩევლებში საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებები, მიუხედავად მათი დემოგრაფიული მახასიათებლებისა. თუმცა, ლიბერალური შეხედულებები ოდნავ ძლიერია კაცებში, ახალგაზრდებში (18-34 წლის), ეთნიკურად ქართველებში, ქალაქში მცხოვრებ და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებში.

იგივე სურათს ვხედავთ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზეც. საერთო ჯამში, ამომრჩევლებს ლიბერალური შეხედულებები (საშუალო=3.31) აქვთ და აღნიშნული შეხედულებები არ არის პოლარიზებული (სტანდარტული გადახრა=0.53) (ცხრილი 4.4). ამ შემთხვევაში, ქალები უფრო ლიბერალურები არიან, ვიდრე კაცები. ოდნავ უფრო ლიბერალური დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდა მოქალაქეებს, თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ადამიანებსა და უმაღლესი განათლების მქონე ამომრჩევლებს.

ცხრილი 4.4
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის

		საშ	ს.გ.
L-R	ჯანდაცვა და განათლება	2.60	0.94
C-L	მართლმსაჯულება	2.94	0.73
C-L	საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3.73	0.90
C-L	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3.31	0.53
L-R	ეკონომიკა	2.80	0.91

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

16 ქართული ოპოზიციური პარტიების ცალკეული წარმომადგენლები ყველაზე ხშირად უცხოელი მოსამართლეების მოწვევას, კრიმინალთან დაკავშირებული ყველა საქმის ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვას და მოსამართლეთა არჩევას ახსენებდნენ წინასაარჩევნო პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ცხრილი 4.5
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის გენდერის ნიშნის მიხედვით

გენდერი	**კაცი**		**ქალი**	
	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.
ჯანდაცვა და განათლება	2.69	1,00	2,52	0,87
მართლმსაჯულება	3,06	0,73	2,82	0,70
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3,79	0,94	3,67	0,86
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3,20	0,54	3,41	0,51
ეკონომიკა	2,89	0,99	2,71	0,83

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი„ 4.6
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის ასაკის ნიშნით

ასაკი	**18-34**		**35-49**		**50-64**		**65+**	
	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.
ჯანდაცვა და განათლება	2,79	1,01	2,54	0,91	2,40	0,78	2,19	0,62
მართლმსაჯულება	3,07	0,73	2,89	0,71	2,78	0,68	2,67	0,68
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3,96	0,82	3,68	0,89	3,33	0,93	3,35	0,94
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3,42	0,54	3,26	0,54	3,19	0,49	3,11	0,41
ეკონომიკა	3,03	0,99	2,73	0,88	2,51	0,67	2,34	0,56

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი 4.7
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის ეთნიკური ნიშნით

ეთნიკურობა	**ქართველი**		**სხვა**	
	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.
ჯანდაცვა და განათლება	2,59	0,93	2,76	1,02
მართლმსაჯულება	2,93	0,73	3,02	0,71
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3,74	0,89	3,60	0,96
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3,30	0,53	3,38	0,52
ეკონომიკა	2,79	0,90	2,93	1,04

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი 4.8
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის დასახლების ტიპის ნიშნით

დასახლების ტიპი	თბილისი		ქალაქი		სოფელი	
	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.
ჯანდაცვა და განათლება	2,70	0,94	2,58	0,92	2,48	0,94
მართლმსაჯულება	3,02	0,74	2,91	0,74	2,85	0,69
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3,91	0,85	3,71	0,90	3,51	0,92
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3,40	0,51	3,30	0,55	3,19	0,52
ეკონომიკა	2,95	0,91	2,74	0,88	2,65	0,91

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი 4.9
საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა თითოეული თემატური განცხადებისთვის განათლების დონის ნიშნით

განათლება	უმაღლესი განათლება		არაუმაღლესი განათლება	
	საშ.	ს.გ.	საშ.	ს.გ.
ჯანდაცვა და განათლება	2,66	0,93	2,48	0,94
მართლმსაჯულება	2,93	0,74	2,96	0,71
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	3,84	0,85	3,51	0,95
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	3,32	0,53	3,29	0,55
ეკონომიკა	2,88	0,90	2,64	0,92

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

5

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პარტიები, იდეოლოგიები და პოლიტიკა

„საარჩევნო კომპასი - საქართველო“ პოლიტიკური ლანდშაფტის საინტერესო სურათს გვაძლევს. ორგანზომილებიანი სიბრტყე შედგება მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებისა (ჰორიზონტალური ღერძი) და ლიბერალურ-კონსერვატიული განზომილებისაგან (ვერტიკალური ღერძი). ამომრჩევლებსა და ექსპერტებში მყარად გამჯდარი სტერეოტიპის მიუხედავად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს განსხვავებული პოზიცია აქვთ იმ 30 პოლიტიკურ საკითხზე, რომლებიც ზემოაღნიშნული იდეოლოგიური განზომილებების შესაქმნელად იქნა გამოყენებული. საერთო ჯამში, კომპასში მოხვდა 16 პოლიტიკური პარტია (იხ. ცხრილი 5.1 ქვემოთ).

ცხრილი 5.1
კომპასში შესული პოლიტიკური პარტიები

#	პოლიტიკური პარტია	ლოგო
1	პატრიოტთა ალიანსი	
2	მოქალაქეები	
3	კონსერვატიული პარტია	
4	ევროპული საქართველო	
5	სამართლიანობისთვის	
6	თავისუფალი დემოკრატები	
7	თავისუფალი საქართველო	
8	ქართული ოცნება	
9	გირჩი	
10	ლეიბორისტული პარტია	

#	პოლიტიკური პარტია	ლოგო
11	ლელო	
12	სოციალ-დემოკრატები	
13	სოლიდარობის ალიანსი	
14	სტრატეგია აღმაშენებელი	
15	ერთიანი საქართველო	
16	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	

კონცეპტუალურად, შეკითხვა იმასთან დაკავშირებით თუ რატომ აფიქსირებენ პარტიები განსხვავებულ პოზიციებს და რატომ არ თანხვდებიან ისინი ერთმანეთს ცენტრისაკენ, ერთგვარ პარადოქსს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონტექსტში იდეოლოგიები მეტნაკლებად უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენს, პარტიათა განსხვავებული პოზიციები მოულოდნელობას წარმოადგენს. ამასთან კავშირში „საარჩევნო კომპასი - საქართველო“ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტთან დაკავშირებით. იკვეთება სამი მთავარი მიგნება. პირველი, იდეოლოგიური სიბრტყის ყველა კვადრატში ერთი პარტია მაინც ხვდება, თუმცა პარტიათა განაწილება არათანაბარია და მემარცხენე-ლიბერალური და მემარჯვენე-კონსერვატიული პოზიციები ნაკლებადაა წარმოდგენილი. მეორე, იდეოლოგიური პოზიციონირების მიხედვით, კომპასისათვის შერჩეული 16 პარტია შესაძლოა დაიყოს ოთხ მთავარ ჯგუფად და ორ განცალკევებით მდგომ პარტიებად. დაბოლოს, როდესაც ორი მთავარი პარტიის, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთმანეთთან შედარება ხდება, ეკონომიკური საკითხებიდან მხოლოდ და მხოლოდ ოთხ საკითხზე აქვთ მათ განსხვავებული პოზიცია, მაშინ, როცა აღნიშნულ პარტიებს საკმაოდ ბევრ კულტურულ საკითხზე აქვთ ერთმანეთთან უთანხმოება.

სურათი 5.1

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი და პარტიათა დაჯგუფებები იდეოლოგიური სიახლოვის ნიშნით



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

5.1. არასათანადოდ წარმოდგენილი იდეოლოგიური პოზიციები

ზემოთ მოყვანილი სურათი 5.1 აჩვენებს, რომ იდეოლოგიურ სიბრტყეზე ქართული პოლიტიკური პარტიები დიაგონალურად არიან განლაგებულები ქვედა მარცხენა კუთხიდან ზედა მარჯვენა კუთხის მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ ყველა ტიპის იდეოლოგიური ხედვა - მემარცხენე, მემარჯვენე, კონსერვატიული და ლიბერალური - წარმოდგენილია ლანდშაფტზე. თუმცა, სპეციფიკური განაწილება ნიშნავს, რომ მემარცხენე-ლიბერალური და მემარჯვენე-კონსერვატიული პოზიციები არასათანადოდ არის წარმოდგენილნი - ანუ, ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიური ვაკუუმი არსებობს. საერთო ამომრჩეველთა ნახევარზე ოდნავ ნაკლები სწორედ ამ ვაკუუმში ხვდება: თითქმის 44% მემარცხენე-ლიბერალურ მეოთხედში და თითქმის 3% მემარჯვენე-კონსერვატიულ მეოთხედში.

მემარცხენე-ლიბერალურ პოზიციას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატები“ - პარტია, რომელიც 2016 წელს ჩამოიშალა, რადგან ვერ შეძლო ვერც ერთი საპარლამენტო მანდატის მოპოვება. მას შემდეგ, პარტიამ ვერ შეძლო მნიშვნელოვნად წინ წაწევა. ანალოგიურად, ერთადერთი პარტია ქვედა მარჯვენა მეოთხედში გახლავთ „თავისუფალი საქართველო“ - კიდევ ერთი პარტია, რომელმაც 2020 წლის არჩევნებში 1%-იანი ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო. ამდენად, იმ ღირებულებების მქონე ამომრჩევლებს, რომლებიც აღნიშნულ ორ ქოლგა იდეოლოგიაში ხვდება, ხმის მიცემისას სამი ვარიანტი აქვს. პირველი, მათ შეუძლიათ ხმა მისცენ სუსტ პარტიას, იციან რა, რომ მათი ხმა დაიკარგება. მეორე, მათ შეუძლიათ, რომ სტრატეგიულად მისცენ ხმა იმ პარტიას, რომელიც მათი რწმენით მოახერხებს მანდატის მიღებას და უარი თქვან იდეოლოგიასა და ღირებულებებზე. დაბოლოს, მათ შეუძლიათ, რომ საერთოდ უარი თქვან იდეოლოგიაზე და ხმა მისცენ აბსოლუტურად სხვა მოტივით.

ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოების ეს ნაწილი ბუნებრივად არის არასათანადოდ წარმოდგენილი არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ ზოგადად ქართულ პოლიტიკაში.

5.2. პარტიათა დაჯგუფებები

ქართული პოლიტიკური პარტიების ოთხი იდეოლოგიური ჯგუფი თუ ბლოკი მოიცავს მემარცხენე, მემარჯვენე-ლიბერალურ, მემარცხენე-კონსერვატიულ და ცენტრისტულ პარტიებს. ამას გარდა, ზემოხსენებული ორი ცალკე მდგომი პარტია არ განეკუთვნება არც ერთ იდეოლოგიურ ჯგუფს. ანალიზისას, დოკუმენტის ეს ნაწილი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ორ პარტიას და ფოკუსირდება პარტიათა ჯგუფების დონეზე, რათა შეისწავლოს თუ რა საკითხები იწვევს შიდაჯგუფურ თუ ჯგუფებს შორის თანხმობის ჩამოყალიბებასა და უთანხმოებას.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე დიდ ჯგუფს მემარცხენე პარტიები წარმოადგენენ. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს 5 პოლიტიკურ პარტიას: „ქართულ ოცნებას“, „ლეიბორისტულ პარტიას“, „სოციალ-დემოკრატებს“, „სოლიდარობის ალიანსსა“ და „სამართლიანობისთვის“. ამა თუ იმ საკითხზე პოზიციების მხრივ ეს ჯგუფი ყველაზე მრავალფეროვანია. 30 პოლიტიკური საკითხიდან, მემარცხენე პარტიებს ერთი და იგივე დამოკიდებულება აქვთ, ანუ ცენტრთან მიმართებით საპირისპირო მხარეებზე არ არიან განთავსებულები 13 საკითხთან დაკავშირებით

ცხრილი 5.2

პარტიათა იდეოლოგიურ ჯგუფებში საკითხებზე თანხმობა და უთანხმოება პოლიტიკის სფეროების მიხედვით

პოლიტიკის სფერო	პარტიათა დაჯგუფებები იდეოლოგიური სიახლოვის მიხედვით							
	მემარცხენე		მემარჯვენე-ლიბერალური		მემარცხენე-კონსერვატიული		ცენტრისტული	
	საკითხთა რაოდენობა, რომლებთან დაკავშირებითაც პარტიებს აქვთ		საკითხთა რაოდენობა, რომლებთან დაკავშირებითაც პარტიებს აქვთ		საკითხთა რაოდენობა, რომლებთან დაკავშირებითაც პარტიებს აქვთ		საკითხთა რაოდენობა, რომლებთან დაკავშირებითაც პარტიებს აქვთ	
	თანხმ.	უთანხმ.	თანხმ.	უთანხმ.	თანხმ.	უთანხმ.	თანხმ.	უთანხმ.
ჯანდაცვა და განათლება	4	3	5	2	4	3	5	2
მართლმსაჯულება	0	5	5	0	2	3	1	4
საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	4	0	4	0	0	4	3	1
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	2	6	6	2	5	3	6	2
ეკონომიკა	3	3	4	2	3	3	4	2
ჯამი	**13**	**17**	**24**	**6**	**14**	**16**	**19**	**11**

ფერთა კოდები: სრული თანხმობა პოლიტიკის მოცემულ სფეროში ; თანხმობისაკენ მიდრეკილება; არ ფიქსირდება ტენდენცია რომელიმე მიმართულებით; მიდრეკილება უთანხმოებისაკენ; სრული უთანხმოება პოლიტიკის მოცემულ სფეროში.

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

(იხ. ცხრილი 5.2), რაც საკითხთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებია. მართალია, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მემარცხენე პარტიებს საერთო შეხედულებები აქვთ, ყოველგვარი უთანხმოების გარეშე, მაგრამ არ არსებობს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული არც ერთი ისეთი საკითხი, რომელზეც ყველა პარტიას საერთო პოზიცია ექნება. საინტერესოა, რომ საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება - პოლიტიკის ის სფერო, სადაც მემარცხენე პარტიებს შორის თანხმობა არსებობს, არ განეკუთვნება მემარცხენეობა-მემარჯვენეობის განზომილებას და უფრო კულტურულ საკითხს წარმოადგენს. ეს ცოტათი პარადოქსულია, ვინაიდან ჰორიზონტალურ ღერძზე ხუთივე პარტია ცენტრიდან ერთსა და იმავე მხარეს ხვდება, მაშინ, როცა ვერტიკალურ ღერძთან მიმართებაში ისინი საპირისპირო მხარეებზე ან ზუსტად ცენტრში ხვდებიან. ამიტომაც, უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, რომ მემარცხენე პარტიები თანხმობას მიაღწევდნენ ისეთ საკითხებში როგორიცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა და განათლება. აღნიშნული ტენდენციებით იკვეთება, რომ მემარცხენე პარტიებში საქართველოში კიდევ უფრო დიდი მრავალფეროვნებაა, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს იმაზე, რომ მემარცხენე იდეოლოგიების კონსოლიდაცია ჯერაც არ მომხდარა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა.

მემარჯვენე-ლიბერალური ბლოკი საქართველოში აერთიანებს ისეთ პარტიებს, როგორიცაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და „მოქალაქეები“. პარტიათა ეს ბლოკი ყველაზე თანმიმდევრულია თავისი პოზიციების მხრივ. 30-დან 24 საკითხზე აღნიშნული პარტიების პოზიციები თანხვდება. პოლიტიკის ორი სფეროს - მართლმსაჯულებასა და საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით - მემარჯვენე-ლიბერალური ჯგუფი ერთ ხმაში საუბრობს. არ არსებობს პოლიტიკის სფერო, რომელშიც აღნიშნულ ოთხ პარტიას პოლიტიკური საკითხების უმრავლესობაზე საერთო პოზიცია არ გააჩნია. თანხმობის ასეთი მაღალი დონე შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ჯგუფში შემავალი ოთხიდან სამი პარტია - „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „გირჩი“ - ერთ პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენდა. აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ბაზარი გაჯერებულია მემარჯვენე-ლიბერალური პარტიებით და დიდია იმის ალბათობა, რომ ისინი ერთი და იმავე ამომრჩევლის ხმის მიღებისთვის იბრძოდნენ. თუმცა, ერთმანეთისათვის ხმების წართმევის შესაძლებლობის მიუხედავად, ოთხივე მემარჯვენე-ლიბერალურმა პარტიამ მოახერხა საპარლამენტო მანდატების მიღება 2020 წლის ოქტომბერში.

კიდევ ერთ მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენს მემარცხენე-კონსერვატიული ბლოკი, რომელიც მოიცავს „პატრიოტთა ალიანსს“, „ერთიან საქართველოსა“ და „კონსერვატიულ პარტიას“. აღნიშნული სამი პარტიის პოზიციები პოლიტიკურ საკითხების უმეტესობის, 16 საკითხის შემთხვევაში, განსხვავებულია, 14 საკითხის საპირწონედ, რომლებზეც ისინი თანხმდებიან. თუმცა, მემარცხენე ბლოკისაგან განსხვავებით, არ არსებობს პოლიტიკის ისეთი სფერო, რომელთან დაკავშირებითაც ამ სამ პარტიას სრული თანხმობა ექნება. მეტიც, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში მემარცხენე-კონსერვატიული ჯგუფის წევრებს საერთო ენის გამონახვა არ შეუძლიათ. საერთო ჯამში, ეს ჯგუფი ელექტორალურად სუსტია და მათგან მხოლოდ და მხოლოდ ერთმა პარტიამ, „პატრიოტთა ალიანსმა“ შეძლო 2020 წლის არჩევნებში მანდატების მოპოვება.

დაბოლოს, პარტიათა მეოთხე ჯგუფს წარმოადგენენ ცენტრისტები, რომელიც ყველაზე პატარა ჯგუფია პარტიების რაოდენობის თვალსაზრისით. ცენტრისტებში მხოლოდ და მხოლოდ ორი პარტია ხვდება: „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. ამათგან არც ერთი არ არის იდეოლოგიური სიბრტყის ზუსტად ცენტრში განთავსებული და ორივე მათგანი უფრო მემარჯვენე-ლიბერალიზმისკენ იხრება. მემარჯვენე-ლიბერალების მსგავსად, აღნიშნულ ორ პარტიასაც მსგავსი პოზიციები აქვს 30-დან 19 პოლიტიკურ საკითხზე და ისინი პოლიტიკის ყველა სფეროში თანხმობისაკენ არიან მიდრეკილნი, გარდა მართლმსაჯულების სფეროსი.

ზოგადად, თუკი შევადარებთ პარტიათა ოთხ ჯგუფს, 30-დან არც ერთი არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც ოთხივე ჯგუფის პოზიცია ერთმანეთთან თანხვედრაში იქნება. ოთხ საკითხს ცოტა დააკლდა კონსენსუსის მიღწევამდე, რომელთა შემთხვევაშიც თანხმობაში მყოფი სამი ჯგუფისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა პარტიათა ერთ ჯგუფს (იხ. ცხრილი 5.3). აღსანიშნავია, რომ ოთხიდან სამი საკითხი ეხება საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებას, პოლიტიკის სფეროს, რომელთან დაკავშირებითაც მემარცხენე-კონსერვატიულ ჯგუფს განსხვავებული პოზიცია აქვს. ამიტომაც, მათი როგორც ჯგუფის პოზიცია გაურკვეველია (ანუ, ჯგუფში შემავალი ყველა პარტია არ იზიარებს საერთო პოზიციას), რაც ხელს უშლის იმას, რომ აღნიშნული საკითხები ვალენტურ საკითხებად იქცეს, ანდა საკითხებად, რომელთან დაკავშირებითაც ყველა პარტიას საერთო პოზიცია ექნება.

ცხრილი 5.3

პოლიტიკური საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც პარტიათა ოთხი ჯგუფის პოზიცია ყველაზე ახლოსაა თანხმობასთან

პოლიტიკური საკითხი	პოლიტიკის სფერო	პარტიათა ბლოკები და მათი პოზიციები			
		მემარცხენე	მემარჯვენე-ლიბერალური	მემარცხენე-კონსერვატიული	ცენტრისტული
საქართველომ უნდა გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი	საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	არ ეთანხმება	არ ეთანხმება	არ აქვს ცხადი პოზიცია	არ ეთანხმება
საქართველოს უნდა ჰქონდეს პროდასავლური კურსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რუსეთთან ურთიერთობებს გააუარესებს	საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	ეთანხმება	ეთანხმება	არ აქვს ცხადი პოზიცია	ეთანხმება
ევროკავშირთან ინტეგრაცია საფრთხეს უქმნის ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას	საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	არ ეთანხმება	არ ეთანხმება	არ აქვს ცხადი პოზიცია	არ ეთანხმება
სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხა უნდა გაიზარდოს	ეკონომიკა	ეთანხმება	არ ეთანხმება	ეთანხმება	ეთანხმება

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ზოგადად, რთულია ისეთი საკითხის მონახვა, რომელთან დაკავშირებითაც პარტიათა ყველა ჯგუფს ცხადად გამოკვეთილი პოზიცია ექნება და რომელსაც ჯგუფებში შემავალი ყველა პარტია გაიზიარებს - ასეთი მხოლოდ და მხოლოდ სამი საკითხია. თუმცა, კიდევ უფრო რთულია ისეთი საკითხის მოძებნა, რომელთან დაკავშირებითაც ცხადად გამოკვეთილი პოზიცია არც ერთ პარტიას არ ექნება - ასეთი მხოლოდ ერთი საკითხია და მინიმალურ ხელფასს ეხება (იხ. ცხრილი 5.4). ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან შესაძლოა დავასკვნათ, რომ ვინაიდან ყველა პარტიას ცხადად გამოკვეთილი პოზიცია აქვს მედიკამენტების ფასებზე, მიწების უცხოელებზე გაყიდვისა და სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხებზე, ქართულ პარტიებს ალბათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საკითხები ამომრჩევლებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ეს სამი თემა შესაძლოა ცხადყოფდეს კეთილდღეობის სახელმწიფოს, კულტურული საკითხებისა და ეკონომიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამავდროულად, მინიმალური ხელფასის იდეა და მოცულობა განსაკუთრებულ უთანხმოებას იწვევს პარტიათა ჯგუფებში, რამდენადაც ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა საერთო პოზიციის ჩამოყალიბება. თუმცა, გაუგებარია, თუ რატომ იქცა მინიმალური ხელფასი ასეთ სადავო საკითხად.

ცხრილი 5.4

პოლიტიკური საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც ყველა ან არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს ცხადი პოზიცია, რომელსაც შესაბამისი ჯგუფის ყველა წევრი იზიარებს

პოლიტიკური საკითხი	პოლიტიკის სფერო	პარტიათა ბლოკები და მათი პოზიციები			
		მემარცხენე	მემარჯვე-ნე-ლიბერა-ლური	მემარცხე-ნე-კონსერვა-ტიული	ცენტრისტული
სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები	ჯანდაცვა და განათლება	ეთანხმება	არ ეთანხმება	არ ეთანხმება	ეთანხმება
უნდა აიკრძალოს მიწის უცხოელებზე გაყიდვა	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ეთანხმება	არ ეთანხმება	ეთანხმება	არ ეთანხმება
სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხა უნდა გაიზარდოს	ეკონომიკა	ეთანხმება	არ ეთანხმება	ეთანხმება	ეთანხმება
საარსებო მინიმუმზე ნაკლები ყოველთვიური ხელფასის გადახდა კანონით უნდა იკრძალებოდეს.	ეკონომიკა	არ აქვს ცხადი პოზიცია	არ აქვს ცხადი პოზიცია	არ აქვს ცხადი პოზიცია	არ აქვს ცხადი პოზიცია

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

5.3. რა განასხვავებთ მათ: „ქართული ოცნება“ VS „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ქართული პოლიტიკური სივრცე ხშირად განსაკუთრებულად პოლარიზებულად ფასდება ხოლმე, რომლის ორ პოლუსსაც „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენენ (Casal Bértoa 2019[17]; Georgian Institute of Politics 2019[18]). თუმცა, იშვიათად განიხილავენ ხოლმე იმას, თუ რამდენად განსხვავდება ეს ორი პარტია კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში. „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ მიერ შეგროვებული მონაცემები იძლევა შესაძლებლობას, რომ „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს შევადაროთ და ვნახოთ საკითხები, რომლებიც მათ განასხვავებს.

„საარჩევნო კომპასი - საქართველო“ შეისწავლის 30 პოლიტიკურ საკითხს, რომელთაგან 11 საკითხი უკავშირდება მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებას, ხოლო 19 - ლიბერალურ-კონსერვატიულ განზომილებას. მემარცხენეობა-მემარჯვენეობასთან დაკავშირებული 11 საკითხიდან 7 საკითხზე „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ერთიანი პოზიცია აქვთ და მხოლოდ და მხოლოდ ოთხ საკითხზე განსხვავდება მათი დამოკიდებულება. ეს ოთხი საკითხი და შესაბამისად პარტიათა პოზიციები წარმოდგენილია ცხრილში 5.5. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ოთხი საკითხი უკავშირდება პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს - ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკურ პოლიტიკას - ყველა მათგანი შესაძლოა გავაერთიანოთ კეთილდღეობის სახელმწიფოს სფეროში. ზემოხსენებული ორი პარტიის პოზიციებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნება“ ზოგადად ემხრობა კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოებას, როგორც ტიპური მემარცხენე პარტია, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ემხრობა კეთილდღეობის სახელმწიფოს შეზღუდვას, როგორც მემარჯვენე პარტია. როგორც ირკვევა კეთილდღეობასთან დაკავშირებული პოლიტიკები წარმოადგენს პოლიტიკურ წყალგამყოფს საქართველოში და „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციები თანხვდება მათ განცხადებულ იდეოლოგიებს.

რაც შეეხება კულტურულ განზომილებას (ანუ ლიბერალურ-კონსერვატიულ დაყოფას), „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უფრო მეტად აქვთ ურთიერთსაპირისპირო პოზიციები. 19-დან 11 საკითხზე „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის ხედვები განსხვავდება. 11-დან 8 საკითხზე „ქართული ოცნება“ კონსერვატიული პოზიციებისაკენ იხრება, დანარჩენ ოთხზე კი ლიბერალურისკენ, ხოლო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საპირისპირო ხედვები აქვს (იხ. ცხრილი 5.6)

ცხრილი 5.5

პოლიტიკური საკითხები მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებიდან, რომელთან დაკავშირებითაც „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ურთიერთსაპირისპირო ხედვები აქვს.

პოლიტიკური საკითხი	პოლიტიკის სფერო	პარტიათა პოზიციები	
		ქართული ოცნება	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
სახელმწიფო საავადმყოფოების პრივატიზება შეამცირებს მომხმარებლისთვის ჯანდაცვის ხარჯებს	ჯანდაცვა და განათლება	არ ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება
სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები	ჯანდაცვა და განათლება	ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება
სახელმწიფო სასწავლებლებში განათლება ყველა საფეხურზე უფასო უნდა იყოს	ჯანდაცვა და განათლება	ეთანხმება	არ ეთანხმება
დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი	ეკონომიკა	არ ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

17 http://gip.ge/wp-content/uploads/2019/04/Policy-Memo-30.pdf

18 http://gip.ge/wp-content/uploads/2019/04/Expert-Polls9.pdf

ცხრილი 5.6
პოლიტიკური საკითხები ლიბერალურ-კონსერვატიული განზომილებიდან, რომლებთან დაკავშირებითაც ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას საპირისპირო ხედვები აქვს

პოლიტიკური საკითხი	პოლიტიკის სფერო	პარტიათა პოზიციები	
		ქართული ოცნება	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
სკოლაში მოსწავლეებმა უნდა მიიღონ სქესობრივი განათლება	ჯანდაცვა და განათლება	არ ეთანხმება	სრულად ეთანხმება
სკოლაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს	ჯანდაცვა და განათლება	ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება
სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის ადგილობრივი მოსამართლეები უცხოელებმა უნდა ჩაანაცვლონ	მართლმსაჯულება	არ ეთანხმება	სრულად ეთანხმება
მოსამართლეები ხალხმა უნდა აირჩიოს	მართლმსაჯულება	არ ეთანხმება	ეთანხმება
მსუბუქი ნარკოტიკები ლეგალიზებული უნდა იყოს	მართლმსაჯულება	სრულად არ ეთანხმება	ეთანხმება
სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაუქმდეს	საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	სრულად არ ეთანხმება	სრულად ეთანხმება
უნდა აიკრძალოს მიწის უცხოელებზე გაყიდვა	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება
რელიგიური ინსტიტუტები, მათ შორის, მართლმადიდებლური ეკლესია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	სრულად არ ეთანხმება	ეთანხმება
ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში დასაშვებია სახელმწიფო მომსახურების უმცირესობების ენებზე მიღება	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ეთანხმება	არ ეთანხმება
გამონაბოლქვის შესამცირებლად უნდა აიკრძალოს მოძველებული მანქანები	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ეთანხმება	სრულად არ ეთანხმება
იმ ბიზნესებმა, რომლებიც გარემოს აბინძურებენ, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახადი უნდა გადაიხადონ	სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ეთანხმება	არ ეთანხმება

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

აღნიშნულ 11 საკითხთან დაკავშირებით, სულ მცირე, სამი თემა იკვეთება. პირველი, ეს არის განათლებისა და რელიგიის თემა, რომელიც შედგება ისეთი საკითხებისაგან როგორიცაა სქესობრივი განათლება, მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. „ქართული ოცნება“ ამ თემასთან მიმართებით ზომიერად კონსერვატიულია, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მკვეთრად ლიბერალური. მეორე თემა გახლავთ მართლმსაჯულება, რომელთან დაკავშირებითაც „ქართული ოცნება“ ეწინააღმდეგება ორ სხვადასხვა შეთავაზებას ქართული სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხის გასაზრდელად: უცხოელი მოსამართლეების მოწვევასა და მოსამართლეების კორპუსის არჩევითობას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კი ამ ორივე იდეას ემხრობა. მესამე გამოკვეთილი თემა შეეხება მწვანე საკითხებს, რომელიც უკავშირდება ძველი მანქანების აკრძალვას დიდი ოდენობით გამონაბოლქვის გამო და კორპორატიული მწვანე მოსაკრებლის შემოღებას ბიზნეს კომპანიებისათვის, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. ამ სფეროში, „ქართულ ოცნებას“ შედარებით პროგრესული ხედვები აქვს და ორივე იდეას ეთანხმება, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ეწინააღმდეგება. აღნიშნული საკითხები ხშირად წარმოდგენილია როგორც არჩევანი გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. თუკი „ქართული ოცნება“ გარემოზე ამახვილებს ყურადღებას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ეკონომიკას ირჩევს. დაბოლოს, დარჩენილი ოთხი საკითხი განყენებულ საკითხებს წარმოადგენენ: მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზება; მიწების უცხოელებზე გაყიდვა; სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება; და კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ნების დართვა, საკუთარ ენაზე მიიღონ სახელმწიფო მომსახურებები. გარდა ბოლო საკითხისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს უჭერს აღნიშნულ საკითხებს, ხოლო „ქართული ოცნება“ საპირისპირო პოზიციაზეა.

საერთო ჯამში, „ქართულ ოცნებას“ უფრო კონსერვატიული კულტურული ღირებულებები აქვს პროგრესულ გარემოსდაცვით ღირებულებებთან ერთად. ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ უჭერს მხარს მწვანე იდეებს, თუმცა ლიბერალური ღირებულებების ერთგულია. ერთადერთი საკითხი, რომელიც ამ მოდელში არ ჯდება გახლავთ ეთნიკური უმცირესობების უფლებები, საკუთარ ენაზე მიიღონ სახელმწიფო მომსახურებები. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კონსერვატიული პოზიცია აქვს, ხოლო „ქართულ ოცნებას“ ლიბერალური.

5.4. დასკვნა

რომ შევაჯამოთ, აქ წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი შესაძლოა აღიწეროს მემარცხენეობა-მემარჯვენეობისა და ლიბერალურ-კონსერვატიული ღერძებისაგან შემდგარი ორგანზომილებიანი ჩარჩოს გამოყენებით. მიღებული მეოთხედებიდან არც ერთი მათგანი არ არის სრულად ცარიელი, თუმცა პარტიათა განაწილება მკვეთრად არათანაბარია და ძირითადად კონცენტრირდება დიაგონალური ხაზის გარშემო ქვედა მარცხენა კუთხიდან ზედა მარჯვენა კუთხის მიმართულებით.

არათანაბარი განაწილება ნიშნავს, რომ ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე არსებობს იდეოლოგიური ვაკუუმები, რამდენადაც არ არსებობს საპარლამენტო პარტიები, რომლებიც შესაძლოა დავახასიათოთ როგორც მემარცხენე-ლიბერალური და მემარჯვენე-კონსერვატიული პარტიები. შესაბამისად, ამომრჩევლები, რომლებსაც სურთ, რომ აღნიშნულ იდეოლოგიურ სივრცეში დარჩნენ, ქართულ პოლიტიკაში არასათანადოდ არიან წარმოდგენილები.

გარდა ამისა, ორგანზომილებიანი სიბრტყე ცხადყოფს, რომ იდეოლოგიური სიახლოვის თვალსაზრისით ქართული პარტიები შესაძლოა დაიყონ ოთხ ჯგუფად: მემარცხენე, მემარჯვენე-ლიბერალური, მემარცხენე-კონსერვატიული და ცენტრისტული. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ეს ჯგუფები არ მოიცავს ორ ცალკე მდგომ პარტიას, რომლებიც იდეოლოგიურად არ დგანან ახლოს სხვა პარტიებთან: „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „თავისუფალ საქართველოს“.

პარტიათა ოთხი ბლოკიდან მემარჯვენე-ლიბერალური ჯგუფი იდეოლოგიურად ყველაზე თანმიმდევრულია, ხოლო მემარცხენე ჯგუფი ყველაზე ნაკლებად, რაც ნიშნავს, რომ მემარჯვენე-ლიბერალური ჯგუფი კარგად არის კონსოლიდირებული ქართულ პოლიტიკაში, მაშინ, როცა მემარცხენე ჯგუფი ჯერ კიდევ წვალობს იდეოლოგიური თვალსაზრისით.

30 პოლიტიკურ საკითხში არ არსებობს ვალენტური საკითხი პარტიათა ოთხივე ჯგუფისათვის. თუმცა, მხოლოდ მემარცხენე-კონსერვატიული ჯგუფია მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი საკითხის გამო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფერო ვალენტურად საკითხად არ იქცევა. ეს ნიშნავს, რომ თუკი ვინმეს აინტერესებს ალტერნატიული იდეები საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, უნდა შეისწავლონ თუ რას გვთავაზობს მემარცხენე-კონსერვატიულ ბლოკში შემავალი სამი პარტია.

საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად იწვევს პოლარიზაციას და რომელთან დაკავშირებითაც პარტიათა ოთხი ბლოკიდან არც ერთს არ გააჩნია გამოკვეთილი პოზიცია ანუ ბლოკის წევრები არ იზიარებენ საერთო პოზიციას, არის მინიმალური ხელფასის იდეა და ოდენობა. თუმცა, უცნობია თუ რა იწვევს ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ასეთ უთანხმოებას პარტიათა ყველა ბლოკში.

მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებაში, შესაძლოა გამოვყოთ „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კეთილდღეობის სახელმწიფოსთან დაკავშირებით მათი ხედვების მიხედვით. „ქართული ოცნება“ აფიქსირებს პოზიციებს კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოების სასარგებლოდ, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს უჭერს კეთილდღეობის სახელმწიფოს შეზღუდვას. ეს ორი ხედვა სრულად შეესაბამება აღნიშნული ორი პარტიის იდეოლოგიურ პროფილებს.

ლიბერალურ-კონსერვატიულ განზომილებაში, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განსხვავდებიან თავიანთი ხედვებით განათლებასა და რელიგიაზე, მართლმსაჯულებასა და გარემოსდაცვით საკითხებზე. საერთო ჯამში, „ქართული ოცნება“ იხრება კონსერვატიული ღირებულებებისაკენ, თუმცა მხარს უჭერს გარემოს დაცვას, თუნდაც ეს უარყოფითად აისახოს ეკონომიკასა და საზოგადოების ცალკეულ წევრებზე. მეორე მხრივ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შედარებით ლიბერალურია თავისი ღირებულებების მხრივ, თუმცა არჩევს ლიბერტარიანულ მიდგომას გარემოსდაცვით საკითხებში.

ერთადერთი საკითხი, რომელიც აღნიშნულ მოდელებში არ ჯდება, არის ეთნიკური უმცირესობების უფლება, საკუთარ ენაზე მიიღონ სახელმწიფო მომსახურებები. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ოცნებას ლიბერალური ხედვა აქვს, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კონსერვატიულ პოზიციაზეა.

6

ამომრჩევლებისა და პარტიების სიახლოვე

კვლევის ეს ნაწილი შეისწავლის პოლიტიკურ პარტიებთან ამომრჩეველთა სიახლოვეს ორ იდეოლოგიურ (ეკონომიკურად მემარცხენე-მემარჯვენე და სოციო-კულტურულად ლიბერალური-კონსერვატიულ) განზომილებაში, მათი პრეფერენციების და პოლიტიკურ პარტიებთან მათი იდეოლოგიური დაშორების ნიშნით. კვლევის ეს ნაწილი ასევე გამოყოფს პარტიათა მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ფაქტორებს და აღწერს მიუმხრობელ ამომრჩეველთა მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ ეს ანალიზი ეფუძნება რესპონდენტთა მცირე ქვეჯგუფს (1500-2000 მონაწილეს), რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, რომ შეევსოთ დამატებითი კითხვარი, სადაც მათ შეეძლოთ დაეფიქსირებინათ თუ ვისთვის აპირებდნენ ხმის მიცემას მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ან/და გაეხსენებინათ თუ ვის მისცეს ხმა წინა (2016 წლის) საპარლამენტო არჩევნებზე. შესაბამისად, ამ ქვე-შერჩევას თვითშერჩევისათვის დამახასიათებელი პრობლემები აქვს და ეფუძნება თავად რესპონდენტთა ინტერესს, რომ შეევსოთ კითხვარის განვრცობილი ვერსია.

6.1. ამომრჩეველთა იდეოლოგია და პარტიული პრეფერენციები

ქვემოთ მოყვანილი კარნელის სიხშირეთა გრაფიკი აჩვენებს ამომრჩეველთა განაწილებას ორ იდეოლოგიურ (მემარცხენე-მემარჯვენე და ლიბერალურ-კონსერვატიულ) განზომილებაში მათი პარტიული პრეფერენციების მიხედვით.

ხმის მიცემის მიდრეკილების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხმის მიცემის მიდრეკილების ცვლადი ბინარული ფორმით დავაფიქსირეთ, რაც გულისხმობს პოზიციის დაფიქსირებას - „მოსალოდნელია, რომ მივცემ პარტიას ხმას“ ან „არ არის მოსალოდნელი, რომ პარტიას მივცემ ხმას“. მიიჩნევა, რომ ამომრჩეველი „მოსალოდნელია, რომ პოლიტიკურ პარტიას მისცემს ხმას“ თუკი მისი ხმის მიცემის მიდრეკილება ამ კონკრეტული პარტიისადმი ყველაზე მაღალია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით და აღემატება 5-ს (წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ არ არის მოსალოდნელი, რომ ამომრჩეველი ამ პარტიას მისცემს ხმას). ქვემოთ მოყვანილ სურათებში (სურათი 6.1) წარმოვადგენთ განაწილებას ორი პოლიტიკური განზომილების გასწვრივ შერჩეული პოლიტიკური პარტიების სავარაუდო ამომრჩევლებს შორის (ისინი, ვისაც კონკრეტული პარტიისადმი აქვს სიმპათია).[19] სურათი 6.1 წარმოადგენს ამომრჩეველთა პროცენტს, რომელსაც უფრო მემარცხენე შეხედულებები აქვს, ვიდრე შესაბამის პოლიტიკურ პარტიებს. დანართი 3 აჩვენებს მსგავს ანალიზს სითბური რუკების გამოყენებით.

მაშინ, როცა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის ამომრჩეველი მსგავსი ლიბერალური სოციო-კულტურული ხედვების მქონეა (გარდა „პატრიოტთა ალიანსისა“), მათი პრეფერენციები ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით განსხვავდება. როგორც სურათებიდან ირკვევა, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს სოციო-კულტურულ საკითხებზე გარკვეულწილად ცენტრისტული ხედვები აქვს, რომელიც ლიბერალურისაკენ იხრება, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი მემარცხენეები არიან. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება“, ყველა სხვა პარტიასთან შედარებით, თავისი ელექტორატის საშუალო პოზიციებთან ყველაზე ახლოს დგას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოტენციური ამომრჩევლები უფრო ლიბერალიზმისა და ეკონომიკურად მემარცხენე იდეოლოგიისაკენ იხრებიან, მაშინ, როდესაც თავად პარტია მემარჯვენე ეკონომიკურ პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლების 94.2%-ს გაცილებით უფრო მემარცხენე შეხედულებები აქვს, ვიდრე თავად პარტიას და 91.5%-ს გაცილებით უფრო კონსერვატიული იდეოლოგია აქვს, ვიდრე თავად პარტიას). ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ამომრჩევლები გაცილებით უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიის ლიდერების პერსონალურ მახასიათებლებს. სხვა ორი პარტია, რომელიც ამომრჩევლებთან მნიშვნელოვანი იდეოლოგიური შეუთავსებლობით ხასიათდება ეკონომიკურ პოლიტიკის საკითხებში, გახლავთ „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „მოქალაქეები“. აღნიშნული პოლიტიკური პარტიები იდენტიფიცირებას ახდენენ როგორც ცენტრისტული პარტიები („მოქალაქეები“ შედარებით უფრო მარჯვნივ არიან გადახრილები, თუმცა მაინც ცენტრთან ახლოს რჩებიან), მაშინ, როდესაც მათი ამომრჩევლები ცალსახად მემარცხენე პოლიტიკისადმი გამოხატავენ სიმპათიას (პარტია „მოქალაქეები“ ასევე საგრძნობ შეუთავსებლობას აჩვენებს თავის ამომრჩეველთა იდეოლოგიასთან კულტურულ საკითხებში). ამას გარდა, „ლელო“, „ლეიბორისტული პარტია“

19 აქ გაანალიზებულია მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების 1%-ზე მეტი მიიღეს

და „პატრიოტთა ალიანსი“ კულტურულად გაცილებით უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე მათი ამომრჩეველი.

შესწავლილ ელექტორატში, მხოლოდ და მხოლოდ „გირჩისა“ და „ევროპული საქართველოს“ ამომრჩეველს აქვს მემარჯვენე ეკონომიკური ხედვები. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელნი თავიანთი პარტიების ხედვებს მტკიცედ უჭერენ მხარს. ყველა სხვა პარტიის ამომრჩეველი კი მემარცხენე ეკონომიკურ პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას.

სურათი 6.1

ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება ორ იდეოლოგიურ განზომილებაში პარტიული პრეფერენციების მიხედვით



სურათი 6.1

ამომრჩეველთა პრეფერენციების განაწილება ორ იდეოლოგიურ განზომილებაში პარტიული პრეფერენციების მიხედვით



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

ცხრილი 6.1

ამომრჩეველთა და პარტიათა პრეფერენციები ორ იდეოლოგიურ განზომილებაში

	ეკონომიკური ნიშნით მემარცხენე-მემარჯვენე განზომილება		კულტურულად ლიბერალურ-კონსერვატიული განზომილება	
	პარტიის ამომრჩეველთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა იდეოლოგიაც პარტიის იდეოლოგიიდან უფრო მარცხნივ არის განთავსებული	პოლიტიკური პარტიის საშუალო პოზიცია	პარტიის ამომრჩეველთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა იდეოლოგიაც პარტიის იდეოლოგიიდან უფრო მარცხნივ არის განთავსებული	პოლიტიკური პარტიის საშუალო პოზიცია
პატრიოტთა ალიანსი	16.2%	-1.18	11.1%	-0.84
ლეიბორისტული პარტია	58.2%	-0.73	25.6%	0.26
ქართული ოცნება	47.2%	-0.64	56.9%	0.00
ლელო	67.9%	0.09	7.9%	0.05
სტრატეგია აღმაშენებელი	83.5%	0.18	55.3%	0.37
მოქალაქეები	87.7%	0.73	83.7%	0.84
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	94.2%	0.91	91.5%	0.89
ევროპული საქართველო	98.0%	1.91	42.0%	0.63
გირჩი	100%	2	99.9%	1.5

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

6.2. პარტიათა პოზიციებიდან ამომრჩეველთა იდეოლოგიური დაშორება

იმისათვის, რომ შეგვესწავლა რამდენად გააზრებული აქვთ ქართველ ამომრჩევლებს თუ ვის აძლევენ ხმას, დასაკვირვებლად ავიღეთ ამომრჩეველთა იდეოლოგიური დაშორება თავიანთი ფავორიტი პარტიების პოზიციებიდან. „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ მონაცემების „დაშორების“ ცვლადები წარმოადგენს ევკლიდიანურ დაშორებას რესპონდენტთა და პარტიათა პოზიციებს შორის, რომელიც ორ იდეოლოგიურ განზომილებას ითვალისწინებს. თითოეული პარტიის გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლადი მერყეობს ნიშნულ 0-სა (ყველაზე დაბალი) და ნიშნულ 4.52-ს (ყველაზე მაღალი) შორის.

სურათ 6.2-ზე წარმოდგენილი ჰისტოგრამები აჩვენებს შერჩეული პოლიტიკური პარტიების[20] სავარაუდო ამომრჩეველთა განაწილებას აღნიშნული პარტიების პოზიციებიდან მათი იდეოლოგიური დაშორების მიხედვით, ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სივრცეში. აღსანიშნავია, რომ ამომრჩევლების პოზიციებიდან იდეოლოგიური დაშორება „ქართული ოცნების“ შემთხვევაში ყველაზე მცირეა (საშუალო დაშორება=0.69) სხვა პარტიებთან შედარებით. ყველაზე დიდი დაშორება კი „ევროპულ საქართველოსა“ და მის ამომრჩევლებს შორის (საშუალო დაშორება=1.6) არსებობს. ცხრილი 6.2 ასახავს ამომრჩეველთა საშუალო დაშორებას მათი ფავორიტი პარტიების პოზიციებთან მიმართებაში.

ცხრილი 6.2
ფავორიტი პარტიების პოზიციებიდან ამომრჩეველთა საშუალო დაშორება

კვალიფიციური საპარლამენტო პარტიები	საშუალო დაშორება
ქართული ოცნება	0.69
ლეიბორისტული პარტია	0.83
ლელო	0.86
სტრატეგია აღმაშენებელი	0.87
პატრიოტთა ალიანსი	1.06
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1.21
მოქალაქეები	1.30
გირჩი	1.39
ევროპული საქართველო	1.55
არასაპარლამენტო პარტიები	**საშუალო დაშორება**
სოციალ-დემოკრატები	0.73
სამართლიანობისთვის	0.89
სოლიდარობის ალიანსი	1.06
თავისუფალი დემოკრატები	1.07
თავისუფალი საქართველო	1.15
ერთიანი საქართველო	1.74

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

სურათი 6.2
პოლიტიკურ პარტიათა ამომრჩევლების განაწილება შერჩეული პარტიების პოზიციებთან მათი დაშორების მიხედვით



20 ითვლება, რომ ადამიანი „ხმას აძლევს პოლიტიკურ პარტიას“ თუკი ამა თუ იმ კონკრეტული პარტიისთვის მისი ხმის მიცემის ალბათობა ყველაზე მაღალია სხვა პარტიებთან შედარებით და აღემატება 5-ს. მეტი ინფორმაციისათვის იხ. ქვეთავი 6.1

სურათი 6.2

პოლიტიკურ პარტიათა ამომრჩევლების განაწილება შერჩეული პარტიების პოზიციებთან მათი დაშორების მიხედვით



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

6.3. მიუმხრობელი ამომრჩევლები

ანგარიშის ეს ნაწილი ეთმობა რეგრესულ ანალიზს, რომელიც შეისწავლის რესპონდენტთა იდეოლოგიურ პროფილებსა და დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის კავშირს მიუმხრობელი ამომრჩევლების შემთხვევაში.

ამისათვის, პირველ რიგში, ჩვენ ჩავატარეთ ფაქტორების ანალიზი, რათა გამოგვევლინა წამყვანი ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც აიხსნება ამომრჩევლების პრეფერენციების ცვალებადობა პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა განცხადებასთან დაკავშირებით და რომელიც იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას როდესაც აღნიშნულ განცხადებებთან კორელაციების შესწავლა ხდება. ჩვენ გამოვყავით ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი და სხვადასხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად რეგრესულ ანალიზში შევიტანეთ. პირველი ფაქტორი, ეტატიზმი, ანუ სახელმწიფოს აქტიური როლის მხარდაჭერა, ძირითადად ასოცირდება ეკონომიკურად მემარცხენე იდეებთან (მაგ. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა, პროგრესული გადასახადები და ა.შ.). მეორე ფაქტორი, კულტურული ლიბერალიზმი, გულისხმობს რესპონდენტთა კულტურულად ლიბერალურ ღირებულებებს (მაგ. სკოლებში სქესობრივი განათლების შემოღება, არსებული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზება და ა.შ.). მესამე ფაქტორი აჩვენებს სახელმწიფოს შეზღუდული როლის მხარდაჭერას. მეოთხე ფაქტორი, საგარეო პოლიტიკური მიუმხრობლობა, გულისხმობს ამომრჩევლებში მტკიცე ანტი-დასავლურ და სამხედრო მიუმხრობლობასთან დაკავშირებულ პრეფერენციებს.

როგორც ცხრილ 6.3-ში რეგრესული ანალიზის შედეგები (1) ცხადყოფს, კულტურული ლიბერალიზმი მნიშვნელოვნად პოზიტიურად კორელირებს მიუმხრობელ ამომრჩევლად ყოფნასთან. სახელმწიფოს შეზღუდული როლის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად და უარყოფითად არის ასოცირებული მიუმხრობელ ამომრჩევლად ყოფნასთან. დარჩენილი ორი ფაქტორი, საგარეო პოლიტიკური მიუმხრობლობა და სახელმწიფოს აქტიური როლის მხარდაჭერა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ამომრჩეველთა აფილაციის არქონაში. ასევე უმნიშვნელო ცვლადები აღმოჩნდა გენდერი და ეთნიკურობა. საინტერესოა, რომ რაც უფრო იზრდება პოტენციურ ამომრჩეველთა ასაკი, მით უფრო ნაკლებად არის სავარაუდო, რომ ისინი პოლიტიკურად აფილირებულები იქნებიან რომელიმე პარტიასთან.

რეგრესული ანალიზის შედეგები უმეტესწილად მტკიცეა მოდელის სხვადასხვა სპეციფიკაციებთან მიმართებაში. როდესაც ორი (მემარცხენე-მემარჯვენე და ლიბერალურ-კონსერვატიული) იდეოლოგიური განზომილების გაკონტროლება ხდება, რეგრესიის მოდელში (2) ოთხი მკაფიო ფაქტორის ნაცვლად, თვალნათლივ ჩანს, რომ კულტურულად ლიბერალური ხედვების მხარდაჭერა ზრდის ამომრჩეველთა მიუმხრობლობის ალბათობას, ხოლო კორელაცია ეკონომიკურად მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებაში უმნიშვნელოა.

ცხრილი 6.3
მიუმხრობელ ამომრჩევლებთან ასოცირებული ფაქტორები

ლოგისტიკური რეგრესია	(1)	(2)
ცვლადები	მიუმხრობელი ამომრჩევლები	მიუმხრობელი ამომრჩევლები
ფაქტორი 1 - სახელმწიფოს აქტიური როლის მხარდაჭერა	-0.0595	
	(0.0583)	
ფაქტორი 2 - კულტურული ლიბერალიზმი	0.297***	
	(0.0729)	
ფაქტორი 3 – სახელმწიფოს შეზღუდული როლი	-0.172**	
	(0.0736)	
ფაქტორი 4 – საგარეო პოლიტიკური მიუკერძოებლობა	-0.00541	
	(0.0887)	
სოფლად	-0.230	-0.465***
	(0.229)	(0.180)
აღმოსავლეთი	-0.693***	-0.598***
	(0.223)	(0.187)
თბილისი	-0.218	-0.171
	(0.152)	(0.122)
სოფლად # აღმოსავლეთი	0.712**	0.887***
	(0.342)	(0.287)
სოფლად # თბილისი	-0.142	-0.0408
	(0.522)	(0.458)
გენდერი	0.183	0.255***
	(0.125)	(0.0975)
ეთნიკურობა	-0.109	-0.171
	(0.122)	(0.108)
35-49	-0.958***	-0.938***
	(0.116)	(0.0966)
50-64	-1.176***	-1.204***
	(0.190)	(0.150)
65+	-1.770***	-2.132***
	(0.300)	(0.241)
ეკონომიკურად მემარცხენე-მემარჯვენე		0.0257
		(0.0594)
კულტ. ლიბერალური-კონსერვატიული		0.411***
		(0.107)
მუდმივა	1.159***	1.121***
	(0.144)	(0.122)
დაკვირვებები	9,746	14,617
ფსევდო R-კვადრატი	0.0936	0.0957

სიმტკიცის სტანდარტის ცდომილებები მოცემულია ფრჩხილებში
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

7

დასკვნა

„საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ მეშვეობით უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხის მონაცემები შეგროვდა. აღნიშნული ინსტრუმენტი პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციის შედეგად შეიქმნა. პირველად გახდა შესაძლებელი შედარებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება, პარტიებისა და ამომრჩევლების დამოკიდებულების შესასწავლად იდეოლოგიურ სიბრტყეში, რომელიც შედგებოდა მემარცხენე-მემარჯვენე და ლიბერალურ-კონსერვატიული განზომილებებისაგან. მონაცემთა ანალიზი იძლევა გარკვეული მოდელების შექმნის შესაძლებლობას პოლიტიკური ლანდშაფტისა და ელექტორატის დასახასიათებლად. ამავდროულად, მონაცემები იძლევა საშუალებას, რომ ერთმანეთს შევადაროთ პარტიათა და ამომრჩეველთა პოზიციები და შევისწავლოთ მათი იდეოლოგიური სიახლოვე. დასკვნით ნაწილში, ჩვენ გამოვყოფთ ქართულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ სამ ასპექტს, რომელიც თავისი არსით დამაფიქრებელია და მოითხოვს სამომავლო კვლევას. ესენია პოლიტიკური იდეოლოგიების თანმიმდევრულობა და მნიშვნელობა, პოლარიზაცია და კავშირები პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის. მონაცემები, რომლებიც შევაგროვეთ, იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას, რომლებიც შესაძლოა ზოგჯერ კონტრინტუიტურად მოჩანდეს და დაექვემდებაროს ინტერპრეტაციას.

7.1 პოლიტიკური იდეოლოგიების თანმიმდევრულობა და მნიშვნელობა

ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე საუბრისას აღნიშნავენ ხოლმე, რომ ისინი იდეოლოგიურად თანმიმდევრულები არ არიან, რაშიც იგულისხმება, რომ იდეოლოგია ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს (ბარქაია და კვაშილავა, 2020). თუმცა, ეს ზოგადი შეფასებაა და სხვადასხვა პარტიის შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია. მაგალითად, „გირჩი“ იდეოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული პარტიაა, თუმცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პარტიას არ გამოუქვეყნებია ერთიანი წინასაარჩევნო პროგრამა. მეორე მხრივ, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ირკვევა, „ლეიბორისტული პარტია“ იდეოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას „ქართულ ოცნებასთან“, თუმცა მან შეთანხმებას მემარჯვენე-ლიბერალურ პარტიებთან მიაღწია. განამტკიცებს თუ არა ჩვენი მონაცემები ვარაუდს, რომ ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიის როლი უმნიშვნელო და არათანმიმდევრულია? ეს მნიშვნელოვანი შეკითხვაა, რომელზე პირდაპირი პასუხიც არ არსებობს.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთ-ერთი მიდგომა შეიძლება იყოს ქართული პარტიების დიფერენციაციის მთავარი ნიშნულად ძალაუფლებრივი სტატუსის აღება. ამ მიდგომით შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის პარტიები. პირველი, პარტია (ან პარტიები, თუკი მომავალში კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდება), რომელიც პარლამენტში უმრავლესობას ფლობს და მთავრობის ფორმირებას ახდენს. მეორე, ოპოზიციური საპარლამენტო პარტიები. დაბოლოს, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები. შესაძლოა, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ მემარჯვენე-ლიბერალურ და ცენტრისტულ პარტიებთან შეთანხმების მიღწევა სწორედ იმიტომ შეძლო, რომ ისინი ერთსა და იმავე ძალაუფლებრივ სტატუსს ფლობენ. ეს მიდგომა მართლაც განამტკიცებს იდეას, რომ ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიებს არც თუ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მეორე არგუმენტი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ იდეოლოგიები უმნიშვნელოა, გახლავთ ის, რომ გვხვდება პარტიათა წყვილები, რომლებიც ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეში ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც ნიშნავს რომ მათი (დამოუკიდებლად) არსებობის რეალური საჭიროება არ არსებობს. ანუ, ამჟამად არსებობს ექვსი პარტია: „გირჩი“ და „ევროპული საქართველო“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „მოქალაქეები“; „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. პარტიათა თითოეული წყვილის იდეოლოგიური სიახლოვე მიგვანიშნებს, რომ იდეოლოგიებს მართლაც რომ მნიშვნელობა ენიჭებოდეს, ექვსის ნაცვლად სამი პარტია უნდა არსებობდეს. „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ განთავსდებიან ცენტრში; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „მოქალაქეები“ მემარჯვენე-ცენტრისტულ პოზიციას დაიკავებენ, ხოლო „გირჩი“ და „ევროპული საქართველო“ - მემარჯვენეს. ამ მიდგომას განამტკიცებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული 6 პარტიიდან არც ერთი არ წარმოადგენს მარგინალურ პოლიტიკურ წარმონაქმნს - ყველა მათგანმა მოახერხა საპარლამენტო მანდატის მიღება.

როდესაც იდეოლოგიების მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, მესამე ასპექტი, რომელიც შეიძლება გამოვყოთ, არის მემარცხენე ბლოკის პარტიებში არსებული შიდა არათანმიმდევრულობა. ერთი შეხედვით, შესაძლოა ეს მემარცხენე იდეოლოგიებს უარყოფითად ახასიათებდეს. თუმცა, ამავდროულად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ბევრი სხვადასხვა სფეროდან აღებულ 30 საკითხზე არსებული დამოკიდებულებებით გამოთვლილ პოზიციონირებაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორი პარტია საბოლოოდ პოლიტიკურ ლანდშაფტზე შესაძლოა ერთმანეთთან ძალიან ახლოს აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ცალკეულ საკითხებზე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ეს შეიძლება გავიგოთ როგორც იდეოლოგიური ეკვიფინალურობა (ანუ როდესაც ერთი და იგივე შედეგი სხვადასხვა გზით მიიღწევა). ეს ყოველივე კი თანხმობაში მოდის მტკიცებასთან, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში მემარცხენე-მემარჯვენე დაყოფა ისე არ მუშაობს, როგორც დასავლურ დემოკრატიებში (Rohrschneider and Whitefield 2012). შედეგად, ისმის ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა: მოსალოდნელია თუ არა რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიური პროფილები ექნებათ?

მიუხედავად ფართოდ გავრცელებული იდეისა, რომ პარტიული პლატფორმები თანმიმდევრული იდეოლოგიური პროფილების მიხედვით ყალიბდება, რაც ხელსაყრელია გამჭვირვალე პოლიტიკის წარმოებისა და დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, საქართველო არ განეკუთვნება მსოფლიოს იმ ნაწილს, სადაც ეს იდეა გაჩნდა. საქართველოს პოლიტიკაზე დამკვირვებლებსა და ექსპერტებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ღირებულებებისა და პოლიტიკების თანმიმდევრულ პოლიტიკურ იდეოლოგიებად გარდაქმნას ათეულობით და შესაძლოა ასეულობით წლებიც კი დასჭირდა დასავლურ დემოკრატიებში. მოლოდინი იმისა, რომ ქართული პოლიტიკა დასავლური ლიბერალური დემოკრატიების მსგავსად იმუშავებს ცოტათი უსამართლოა, რამდენადაც ქვეყანას სტაბილური პოლიტიკური სისტემის შენების მხოლოდ და მხოლოდ 30-წლიანი გამოცდილება აქვს. რა თქმა უნდა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკის ხარვეზებზე თვალი უნდა დავხუჭოთ, არამედ იმას, რომ სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ვერ ექნებათ „თანმიმდევრული“ იდეოლოგიური პროფილები, დასავლური დემოკრატიების მსგავსად. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკური იდეოლოგიები ისე არ მუშაობს, როგორც დასავლურ დემოკრატიებში. ამ ყოველივეს სხვადასხვა მიზეზი აქვს, მათ შორის, მტკიცე კავშირების ჩამოყალიბების სირთულე პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის (Toka 1998); პოსტ-კომუნისტური პარტიების სუსტი ორგანიზაციული შესაძლებლობები (Dalton and Wattenberg 2000); და ინტერესთა ჯგუფების სტრუქტურის ხელახლა შექმნის საჭიროება საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რომელიც 70 წლის განმავლობაში ცდილობდა ყოველგვარი სოციალური განსხვავებულობის წაშლას (Bunce 2001).

შესაბამისად, ისმის კითხვა, უნდა ველოდოთ თუ არა, რომ ქართულ პარტიებსაც ისეთივე მწყობრი იდეოლოგიური პროფილები ექნებათ, როგორიც უკვე ვიცით რომ დასავლურ დემოკრატიებში არსებობს. რა თქმა უნდა, კონტექსტის მიუხედავად, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისათვის მნიშვნელოვანია ცხადად გამოკვეთილი პოლიტიკური პლატფორმა. მაგრამ, ამავდროულად, შესაძლოა უმჯობესი იყოს რომ პოლიტიკურ პლატფორმებზე მოცემული რეალობის გათვალისწინებით ვიფიქროთ და არა დასავლეთში აღმოცენებული წინასწარ გამზადებულ თარგებთან მათი შედარების გზით. ეს მიდგომა აბსოლუტურად ახალი ტიპის კითხვებსა და გამოწვევებს გააჩენს. პირველი შეკითხვა, რომელიც ჩნდება, შეეხება, სთავაზობენ თუ არა პარტიები ამომრჩევლებს დიფერენცირებულ პოლიტიკებს თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში. ამას ეწოდება ამომრჩეველთათვის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (Bartolini 2001). ასეთი დიფერენცირებული პლატფორმების გარეშე, შეუძლებელია არსებობდეს პროგრამული კონკურენცია, რომლისაკენაც ქართული პარტიული პოლიტიკა უნდა ისწრაფოდეს. თუკი ამომრჩევლებს არ მიეწოდებათ განსხვავებული პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობა, ისინი ვერასდროს შეძლებენ ხმის მიცემას პროგრამებზე დაყრდნობით და კვლავაც ქარიზმატული ლიდერებისა და კლიენტელური ქსელების გავლენის ქვეშ დარჩებიან (იხ. Kitschelt 1995). მეორე საკითხი, რომელიც წამოიჭრება, შეეხება იმას, თუ რამდენად თანმიმდევრულია თავად აღნიშნული დიფერენცირებული პროგრამები. თუკი დავუშვებთ, რომ პოლიტიკურ პარტიას გამოქვეყნებული აქვს წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც გვთავაზობს უნიკალურ მიდგომას პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად, უნდა ვფოკუსირდეთ იმაზე, თუ რამდენად ახერხებენ ცალკეული პოლიტიკოსები პარტიის პროგრამის ამომრჩევლამდე მიტანას; ანდა იყენებს თუ არა აღნიშნული პოლიტიკური პარტია საკომუნიკაციო არხებს ამომრჩევლისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით, ეს სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ქართული პარტიებისათვის. მესამე და ბოლო საკითხი, რომელიც წარმოიჭრება, შეეხება იმას, თუ რამდენად თანმიმდევრულები არიან პოლიტიკური პარტიები როგორც ინსტიტუციები. აქ საინტერესოა იცვლის თუ არა პარტია პოზიციას რადიკალურად არჩევნებიდან არჩევნებამდე. პარტიული კონკურენციის სივრცით გააზრებაში ამას ე.წ. „ხტუნაობა“ (leapfrogging) ჰქვია (Robertson 1976). ეს სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ქართული პოლიტიკური პარტიებისათვის და ამის მაგალითები საქართველოში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოიძებნება (Kakhishvili 2020). ე.წ. „ხტუნაობა“ პრობლემაა იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც პარტია ამას აკეთებს, ის მთლიანად ფლანგავს პროგრამული კონკურენციის შედეგად მიღებულ უპირატესობებს, ვინაიდან შედეგად ზიანი ადგება მოსალოდნელობასა და სიცხადეს. ამომრჩევლები ვეღარ ხვდებიან, აპირებს თუ არა აღნიშნული პარტია, რომ მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი თავის დროზე ემხრობოდა.

ეს სამი საკითხი ქართული პარტიებისათვის ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს, რათა ისინი დასავლური სტილის თანმიმდევრული იდეოლოგიების მქონე პარტი-

ებად ჩამოყალიბდნენ. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუკი ჯერ კიდევ არსებობს ხმის მიცემაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, წინასაარჩევნო პროგრამების შინაარსი თანმიმდევრულად და ცხადად მიეწოდებათ ამომრჩევლებს და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით პარტიები სხვადასხვა პოზიციაზე არ „დახტუნავენ", შესაძლოა არც იდგეს მკაფიოდ იდენტიფიცირებადი მემარცხენე ან მემარჯვენე იდეოლოგიის ქონის საჭიროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი, რომ პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში ზუსტად ისეთსავე პოლიტიკურ პოზიციებს გამოხატავდეს, როგორც ევროპულ დემოკრატიებში. იდეოლოგიური სპექტრი ყოველთვის კონტექსტზეა დამოკიდებული და იგი შესაძლოა იცვლებოდეს არა მხოლოდ ქვეყნების, არამედ ზოგჯერ ერთ ქვეყნის შიგნით რეგიონების მიხედვითაც. თავად ის ფაქტი კი, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლებს სხვადასხვა ტიპის პოლიტიკას სთავაზობენ ასარჩევად, უკვე კარგის ნიშანია დასაწყისისთვის და მისი მნიშვნელობა არ უნდა დავაკნინოთ. ახლა, პარტიებს სჭირდებათ რომ ორი მიმართულებით გადადგან ნაბიჯები. პირველი, პარტიებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი შეთავაზებების ხარისხი, უნდა დახარჯონ უფრო მეტი დრო და რესურსი, რათა ეს შეთავაზებები განხორციელებადად, შორეულ პერსპექტივაში პროგნოზირებადად და ამომრჩევლებისათვის მიმზიდველად აქციონ. მეორე, პარტიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათმა შეთავაზებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მათსავე კამპანიებში და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ამომრჩევლებს. ამ დროისათვის, შესაძლოა დავინახოთ ელექტორალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის არსებობის ნიშნები, თუმცა თავად პროგრამების თანმიმდევრულობა და სტაბილურობა, ისევე როგორც პარტიათა ორგანიზაციული შესაძლებლობები არ იძლევა სრული თავდაჯერების შესაძლებლობას და ამ საკითხის მეტი კვლევაა საჭირო.

7.2. პოლარიზაცია

ბოლო წლებში სიტყვა პოლარიზაცია განსაკუთრებით პოპულარულია, ალბათ სიტყვა პოპულიზმთან ერთად, რაც ხშირად გამოიყენება იმის სამტკიცებლად, რომ საქართველოში პოლიტიკა ისე ვერ მუშაობს, როგორც უნდა მუშაობდეს. შედეგად, პოლარიზაცია „საგანგაშო გამოწვევად" იქცა ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისათვის. თუმცა, მიუხედავად საქართველოს სოციალური, მედია და პოლიტიკური პოლარიზაციის შესახებ ანალიზის მრავალგზის მცდელობისა, ძალზე ცოტა ავტორს აქვს განმარტებული თუ რას გულისხმობს რეალურად ეს ტერმინი საქართველოს კონტექსტში და კიდევ უფრო ცოტა ავტორს გაუზომავს იგი. უფრო ხშირად, უბრალოდ აპრიორი მიიჩნევა ხოლმე, რომ საქართველო პოლარიზებულია. ამიტომაც, ანალიტიკური ფოკუსი უფრო იმაზეა მიმართული თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში პოლარიზაციის შედეგების მინიმუმამდე დაყვანა.

როგორც ერთ-ერთი ანგარიში აღნიშნავს, 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები „პოლარიზაციის უარყოფითი მხარეების სახელმძღვანელო მაგალითია".[21] მეორე ანგარიშში კი ვკითხულობთ, რომ საქართველო „ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოლარიზებულ დემოკრატიად იქცა".[22] ექსპერტები გამოყოფენ „საზოგადოების დაპირისპირებას, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასა [და] პოლიტიკური პროცესების დესტაბილიზაციას" როგორც „მწვავე პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის"[23] შედეგს და გამოთქვამენ წუხილს, რომ შესაძლოა „საქართველო კიდევ ერთხელ გადაიქცეს არშემდგარ სახელმწიფოდ".[24] აღნიშნული არგუმენტები ეფუძნება მოსაზრებებს, რომ ქართველი პოლიტიკოსები იყენებენ ემოციურ რიტორიკასა და ნეგატიურ კამპანიებს თავიანთი ოპონენტების წინააღმდეგ. ზოგიერთი ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკა და არჩევნები საქართველოში ხშირად გაგებულია როგორც თამაში ნულოვანი ჯამით, სადაც ყველაფერი გამარჯვებულს მიაქვს.[25] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იდეები სულაც არ არის უსაფუძვლო, ენა, რომელსაც ეს ანგარიშები იყენებს, ხშირად ზედმეტად საგანგაშოა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენას უფრო რადიკალიზაციას უწოდებენ ხოლმე, ვიდრე პოლარიზაციას.[26]

პოლარიზაცია შესაძლოა განვმარტოთ როგორც იდეოლოგიური დაშორება ერთ საზოგადოებაში არსებულ ორ ჯგუფს შორის.[27] ხოლო აღნიშნული ჯგუფების ურთიერთ შეუთავსებელი იდენტობების კრისტალიზაცია შესაძლოა მართლაც საფრთხეს უქმნიდეს პოლიტიკურ სისტემას.[28] პოლარიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რიტორიკა თანამედროვე სამყაროში ხშირად გამოიყენება პოპულისტების მიერ, რომლებიც „კეთილ" უბრალო ხალხსა და „ბოროტ" პოლიტიკურ ელიტას ერთმანეთის უპირისპირებს.[29] აღნიშნული ჩარჩოს გათვალისწინებით, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები არ ადასტურებს რადიკალური პოლარიზაციის არსებობას საქართველოში. თუკი განვიხილავთ ორ ყველაზე დიდ პოლიტიკურ პარტიას - „ქართულ ოცნებასა" და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" - მონაცემების თანახმად, 30 პოლიტიკური საკითხიდან ნახევრის შემთხვევაში, ეს ორი პარტია ერთსა და იმავე პოზიციაზე დგას. ამ ყოველივეს რადიკალური პოლიტიკური პოლარიზაციის ნიშნად ნამდვილად ვერ განვიხილავთ. გარდა ამისა, ამომრჩეველთა პრეფერენციები არ მიანიშნებს ორი მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალური ჯგუფის არსებობაზე, რომლებიც ურთიერთ გამომრიცხავი პრეფერენციებით ხასიათდებიან.

21 https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/tearing-apart-what-drives-political-polarisation-in-georgia-f40088e5a5a2#_ftn6

22 https://democracy-reporting.org/wp-content/uploads/2018/08/DRI-GE-The-high-price-of-extreme-political-polarisation-in-Georgia-and-what-to-do-about-it_Fact-Finding-Report.pdf

23 https://nsf.com.ge/en/news/97/political-polarization-in-georgia

24 http://gip.ge/wp-content/uploads/2021/03/GIP-Expert-comment-16-1.pdf

25 http://gip.ge/wp-content/uploads/2021/03/GIP-Expert-comment-16-1.pdf

26 https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0002764218759576

27 https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0002764218759576

28 https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1010098&download=yes

29 https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0002764218759576

კვლევის ეს მიგნებები თანხმობაშია CRRC-ის მიერ გამოცემული ანგარიშის შედეგებთან, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს ქართული საზოგადოების ორ პოლიტიკურ ჯგუფად დაყოფის მტკიცებულება, რომლებსაც ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური პრეფერენციები ექნებოდა.[30] მეტიც, თუკი შევისწავლით Who Governs-ის მონაცემებს, რომელიც პოლარიზაციას როგორც ანტი-ელიტისტური პარტიების მიერ მოცემულ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლით ზომავს, დავინახავთ, რომ ქართული საზოგადოება პოლარიზებული არ არის. ბოლო ხუთი არჩევნების განმავლობაში, რომელთან დაკავშირებითაც აღნიშნული მონაცემთა ბაზა იძლევა მაჩვენებლებს, პოლარიზაციის ნიშნული მერყეობდა 2012 წლის არჩევნებზე 1.3%-დან 2016 წლის არჩევნებზე 15.4% -მდე (იხ. სურათი 7.1). შედარებისათვის, მაგალითად, გერმანიაში იგივე მაჩვენებელი სტაბილურად იზრდებოდა ბოლო ხუთი არჩევნების განმავლობაში და ეს ნიშნული 2002 წელს 6.5%-დან 2017 წელს 25.7%-მდე გაიზარდა.[31]

30 https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/PolicyBriefs/Polarization%20brief%206Oct2020.pdf

31 Casal Bértoa, F. (2021): Database on WHO GOVERNS in Europe and beyond, PSGo. ხელმისაწვდომია: whogoverns.eu

შედეგად, მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საუბარი საქართველოში დიდ წილად გადაჭარბებულია. ნაცვლად ამისა, ექსპერტები და მკვლევრები ალბათ რადიკალურ პოლიტიკურ რიტორიკაზე უნდა კონცენტრირდნენ, რომელიც გულისხმობს როგორც ნეგატიურ საარჩევნო კამპანიას მმართველი და ოპოზიციური პარტიებისაგან, ასევე არჩევნების როგორც ნულოვანი ჯამის თამაშის გაგებას.

სურათი 7.1
პოლარიზაციის მაჩვენებელი საქართველოში Who Governs-ის მონაცემების მიხედვით



წყარო: Casal Bértoa, F. (2021): Database on WHO GOVERNS in Europe and beyond, PSGo. ხელმისაწვდომია: whogoverns.eu

7.3 პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირი

ბოლო და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში გახლავთ, თუ როგორ ცდილობენ პარტიები ამომრჩევლებთან კავშირების გაბმას. პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირზე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომუნიკაციის სტრატეგიას, რომელსაც პარტიები ირჩევენ. თუკი პარტიები თავიანთ პოლიტიკებთან დაკავშირებით ამომრჩევლებს გასაგებად მიაწვდიან ინფორმაციას და იშვიათად გამოიყენებენ რადიკალურ რიტორიკასა და ნეგატიურ კამპანიებს, ისინი შეძლებენ ამომრჩევლებთან პოზიტიური კავშირის დამყარებას. გარდა ამისა, თუკი პარტიები მოახერხებენ, რომ თავიანთი პოლიტიკების ერთგულები დარჩნენ არჩევნების განმავლობაში და არჩევნებს შორის და არ დაიწყებენ ე.წ. „ხტუნაობას“, ამომრჩევლებს ექნებათ უფრო მკაფიო წარმოდგენა თუ რის მიღწევას ცდილობს ესა თუ ის პარტია. თუმცა, ეს მხოლოდ მიწოდების მხარის მოქმედებებს შეეხება. მონეტის მეორე მხარე გახლავთ პარტიების მისამართით ამომრჩეველთა მოთხოვნები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, შეგვიძლია, დავაკვირდეთ არსებობს თუ არა ბმა ამომრჩეველთა იდეოლოგიურ კავშირებსა და პარტიებს შორის და მეორე მხრივ, შეგვიძლია ვნახოთ, საპასუხოდ რომელ პარტიებს სჯიან და რომელ პარტიებს აჯილდოვებენ ამომრჩევლები.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის სამი ტიპის კავშირი არსებობს: ქარიზმატული, კლიენტელური და პროგრამული (Kitschelt 1995). ქარიზმატული

კავშირი დაკავშირებულია სიტუაციასთან, სადაც მოცემულ პარტიას მიმდევრები ჰყავს პარტიის ლიდერის პოპულარობის დამსახურებით. შესაბამისად, ლიდერის ქმედებები განსაზღვრავს მთლიანად პარტიის ქმედებებს. კლიენტელური კავშირი აღნიშნავს პირდაპირ და ხელშესახებ ინდივიდუალურ სარგებელს, რომელსაც ამომრჩეველი იღებს ამა თუ იმ პარტიისაგან, მისი ხმის სანაცვლოდ. კლიენტელიზმი შეიძლება ფინანსდებოდეს სახელმწიფოს ან კერძო რესურსებიდან და შესაძლოა გულისხმობდეს როგორც პოზიტიურ ასევე ნეგატიურ წამახალისებელ სტიმულებს (Mares and Young 2019). პროგრამული კავშირი ყალიბდება მაშინ, როდესაც ამომრჩევლები პარტიას ხმას აძლევენ პოლიტიკის გამო, რომელსაც ეს პარტია წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩევლები იღებენ არაპირდაპირ სარგებელს საჯარო სიკეთის სახით, მას შემდეგ, რაც გამარჯვებული პარტია ძალაუფლებას აიღებს ხელში. განმარტების თანახმად, პროგრამული კავშირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარტია ამომრჩევლებს სთავაზობს ისეთი ტიპის პოლიტიკას, როგორიც მათ სურთ. რა თქმა უნდა, რეალობა არასდროსაა ერთგანზომილებიანი და ამომრჩეველთა ქცევაზე გავლენას უამრავი ფაქტორი ახდენს, მათ შორის, პარტიის ლიდერის ქარიზმა და პოზიტიური თუ ნეგატიური კლიენტელური წამახალისებელი სტიმულების მოლოდინი. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ, არსებობს თუ არა პროგრამული კავშირი პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის საქართველოში.

ჩვენ შეგვიძლია, რომ მედიანური ამომრჩევლის პოზიცია გამოვითვალოთ ორგანზომილებიან იდეოლოგიურ სიბრტყეზე და შევისწავლოთ როგორ იცვლება პოლიტიკური ლანდშაფტი, როდესაც პარტიათა პოზიციებს არა იდელოგიური ცენტრის, არამედ მედიანური ამომრჩევლის გარშემო განვალაგებთ. მოცემულ განზომილებაში მედიანური ამომრჩეველი აღნიშნავს პოზიციას, რომლის ერთ მხარესაც მოქცეულია ამომრჩეველთა ზუსტად ერთი ნახევრის პრეფერენციები, ხოლო მეორე მხარეს ამომრჩეველთა მეორე ნახევრის პრეფერენციები. იმის გათვალისწინებით რომ „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ ორი განზომილება აქვს, მედიანური ამომრჩეველი განთავსებულია წერტილში, რომელსაც ორი კოორდინატი აქვს: [-0.45; 0.32]. თუკი მედიანურ ამომრჩეველს განვიხილავთ როგორც პოლიტიკური ლანდშაფტის ცენტრს, შედარებით განსხვავებულ სურათს მივიღებთ. ქვემოთ მოყვანილ სურათ 7.2-ზე სწორედ ეს არის გამოსახული. თითოეული პარტიის ლოგოს ზომა არჩევნებში მიღებული ხმების წილის პროპორციულია.

ეს სურათი აჩვენებს, რომ საქართველოში პოლიტიკურ ძალაუფლების ორი ცენტრი არსებობს - „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება“ გაცილებით უფრო ახლოს არის მედიანურ ამომრჩეველთან, ანუ სიბრტყის ცენტრთან – [0; 0].მიღებული შედეგი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სრულად გამოვრიცხოთ დაშვება, რომ პოლიტიკურ პრეფერენციებსა და იდეოლოგიებს მართლაც აქვს მნიშვნელობა ქართველი ამომრჩევლებისთვის. მაგრამ, რომ გვქონდეს სიტუაცია, სადაც პოლიტიკური ძალაუფლებისთვის მებრძოლი ორი მთავარი კონკურენტიდან ერთ-ერთი მედიანური ამომრჩევლისაგან დაშორებული იქნება, თუმცა, ამავდროულად, იგი უფრო მეტ ხმას მიიღებდა არჩევნებში, მაშინ შევძლებდით, რომ ქართველ ამომრჩეველთა ხმის მიცემის ქცევაში იდეოლოგიის მნიშვნელობა გამოგვერიცხა (ანდა კითხვის ნიშნის ქვეშ დაგვეყენებინა ინსტრუმენტი, რომელიც გამოვიყენეთ პარტიათა პოზიციებისა და ამომრჩეველთა პრეფერენციების გასაზომად).

უფრო შორსაც შეგვიძლია წავიდეთ, „ქართული ოცნება“ მედიანურ ამომრჩეველს მარცხნიდან უახლოვდება, მაშინ, როდესაც მისი მთავარი კონკურენტი საკმაოდ მარჯვნივ არის მემარცხენე-მემარჯვენე განზომილებაში (ჰორიზონტალურ X-ღერძზე). იმის გათვალისწინებით,

სურათი 7.2
საპარლამენტო პარტიები და მათი დაშორება მედიანური ამომრჩევლისგან



წყარო: საარჩევნო კომპასი - საქართველო

რომ პოლიტიკურ პრეფერენციებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩევლებისთვის, „ქართულ ოცნებას“ მნიშვნელოვნად დიდი სივრცე აქვს მანევრირებისათვის და, პრინციპში, შეუძლია რომ ჰორიზონტალური ღერძის მარჯვენა მხარეს გადაიხაროს. მანამ, სანამ „ქართული ოცნება“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით მარცხნივ იქნება, ის ყოველთვის უფრო ახლოს დარჩება მედიანურ ამომრჩეველთან. დაუნის (1957) მიერ შექმნილი პარტიათა კონკურენციის სივრცითი მოდელის თანახმად, ასეთი ქცევა მოსალოდნელიცაა და თეორიულად ამან „ქართულ ოცნებას“ მეტი ხმები უნდა მოუტანოს.

ის ფაქტი, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახლოსაც კი არ დგას მედიანურ ამომრჩეველთან, „ქართული ოცნებისაგან“ განსხვავებით, ნაწილობრივ პასუხისმგებელია დიდ საშუალო დაშორებაზე „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის მხარდამჭერებს შორის, „ქართულ ოცნებასთან“ შედარებით. პრინციპში, „ქართული ოცნება“ ყველაზე ახლოს დგას თავის ამომრჩეველთან, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო პარტიებს შორის მხოლოდ და მხოლოდ მეექვსე ადგილზეა ამომრჩევლებთან სიახლოვის თვალსაზრისით. თუკი პარტიათა კონკურენციის სივრცით მოდელს მივუსადაგებთ ქართულ სურათს, ამჟამინდელი მდგომარეობა „ნაციონალური მოძრაობისათვის“ სტიმულს წარმოადგენს, რომ მარცხნივ, მედიანურ ამომრჩეველთან და თავის მხარდამჭერებთან უფრო ახლოს გადაინაცვლოს. ეს წარმოუდგენელი სულაც არ არის, ვინაიდან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოღვაწეობა დაიწყო როგორც იდეოლოგიურად ცენტრისტულ პოზიციებთან ახლოს მყოფმა პარტიამ და ზოგიერთი ექსპერტი მას „ცენტრისტულ-მემარცხენე“ პარტიადაც კი ახასიათებდა (იხ. European Stability Initiative 2010 [32]).

როდესაც იდეოლოგიურად დაშორებული ხარ საკუთარი ამომრჩევლისაგან, თუმცა მაინც მეორე ადგილზე ხარ მიღებული ხმების რაოდენობით, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩევლები დიდად არ აქცევენ ყურადღებას პოლიტიკურ პრეფერენციებს და იდეოლოგიურ პოზიციებს, როდესაც ისინი არჩევენ პარტიას ხმის მისაცემად. თუმცა, ასეთი განცხადება სიფრთხილით უნდა გაკეთდეს. ერთი საკითხია, რომ პარტიები და ამომრჩევლები იდეოლოგიურ განზომილებაში განათავსო და მეორე საკითხია გადაწყვიტო თუ როგორ ახდენენ იგივე პარტიები საკუთარი ამომრჩევლების მობილიზებას საარჩევნო კამპანიის დროს. წინა ქვეთავებში ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ქართული პოლიტიკა სავსეა რადიკალური რიტორიკით, რომელიც ხშირად რადიკალურ პოლარიზაციაში ერევათ ხოლმე. აღნიშნულმა რადიკალურმა რიტორიკამ შესაძლოა ხშირად ემოციური და პროტესტზე დაფუძნებული ხმის მიცემა განაპირობოს. ასეთი საარჩევნო ქცევა მტკიცე დემოკრატიის ქვეყნებშიც ხშირია და ნაწილობრივ სწორედ ამით აიხსნება დასავლურ ქვეყნებში მემარჯვენე პოპულისტური პარტიების ელექტორალური წარმატება. ამავდროულად, ქართველი ამომრჩეველი მიჩვეულია ქარიზმატულ ლიდერებს, რომლებსაც პარტიები კვლავაც იყენებენ თავიანთ ამომრჩევლებთან კავშირების დასამყარებლად. ამომრჩეველთა ქცევისა და პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირების ყველა ეს ასპექტი, ზოგადად, ერთდროულად არსებობს. ამიტომაც, არაგონივრულია, რომ სრულად უგულებელვყოთ იდეოლოგიების მნიშვნელობა ქართულ არჩევნებში და გვქონდეს მოლოდინი, რომ ქართველი ამომრჩევლები მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ შეთავაზებებს მიაქცევენ ყურადღებას. რეალობა გაცილებით უფრო კომპლექსურია.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში შედარებით მეტი სიცხადე შევიტანეთ ქართული პოლიტიკის ისეთ ასპექტებში, რომლებიც ხშირად არასწორად არის ხოლმე გაგებული ანდა ანალიზისათვის არსებითად ხელმიუწვდომელია. ღრმად გვწამს, რომ თითოეული ეს ასპექტი იმსახურებს მომავალში მეტ კვლევას. „საარჩევნო კომპასი - საქართველოს“ მეშვეობით მიღებული უნიკალური მონაცემების მეშვეობით, რომელიც მოიცავდა 30 საკითხს პოლიტიკის ხუთი სხვადასხვა სფეროდან, შევძელით ინფორმაციის მიღება ქართველი ამომრჩევლების პოლიტიკური პრეფერენციების შესახებ, ისევე როგორც 16 ქართული პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ პოზიციასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრეფერენციები იმავე საკითხების შესახებ იქნა შეგროვებული, ჩვენ შევძელით, რომ პარტიებისა და ამომრჩევლების კავშირები შეგვესწავლა საქართველოში. მიღებული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების შემსწავლელთათვის, არამედ თითოეული პოლიტიკური პარტიისათვის და მათთვისაც, ვინც გეგმავს და ახორციელებს საარჩევნო სტრატეგიებს ელექტორატთან ურთიერთობის დასამყარებლად.

32 https://bit.ly/3n7qm5t

დანართები

დანართი 1

პოლიტიკის ხუთ სფეროსთან დაკავშირებული 30 განცხადება და საპარლამენტო მანდატის მქონე პარტიათა შესაბამისი განაწილება აღნიშნულ საკითხზე არსებული პოზიციების მიხედვით

	პოლიტიკის სფეროები და საკითხები	**პარტიათა პოზიციები თითოეული ბლოკში**								
		მემარცხენე		მემარჯვენე-ლიბერა-ლური				ცენტ-რისტული		მემარცხე-ნე-კონს.
		ქართული ოცნება	ლეიბორისტული პარტია	ერთ. ნაციონალური მოძრაობა	ევროპული საქართველო	გირჩი	მოქალაქეები	ლელო	სტრატეგია აღმაშენებელი	პატრიოტთა ალიანსი
ჯანდაცვა და განათლება	სახელმწიფო საავადმყოფოების პრივატიზება შეამცირებს მომხმარებლისთვის ჯანდაცვის ხარჯებს	-1	-2	2	2	2	1	1	1	-1
	სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები	1	2	-2	-2	-2	-1	1	2	-2
	ჯანდაცვა უნდა იყოს საყოველთაო და უფასო	2	-1	1	-2	-2	-1	1	2	2
	უნდა გაიზარდოს ჯანდაცვისა და განათლების სფეროების დაფინანსება, თუნდაც ამან გადასახადების გაზრდა გამოიწვიოს	2	1	1	-2	-2	-1	-2	2	2
	სახელმწიფო სასწავლებლებში განათლება ყველა საფეხურზე უფასო უნდა იყოს	1	1	-1	-1	-2	-1	1	-1	2
	სკოლაში მოსწავლეებმა უნდა მიიღონ სქესობრივი განათლება	-1	1	2	2	2	1	2	1	1
	სკოლაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს	1	-2	-2	-2	-2	-1	-2	0	1
მართლმსაჯულება	სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის ადგილობრივი მოსამართლეები უცხოელებმა უნდა ჩაანაცვლონ	-1	1	2	2	2	2	1	2	-2
	სისხლის სამართლის ყველა საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განიხილონ	1	1	2	2	2	2	-1	2	0
	მოსამართლეები ხალხმა უნდა აირჩიოს	-1	2	1	1	2	2	-2	1	-1
	მსუბუქი ნარკოტიკები ლეგალიზებული უნდა იყოს	-2	-1	1	1	2	1	1	-2	1
	კრიმინალის დონის შესამცირებლად სასჯელი უნდა გამკაცრდეს	-2	0	-2	-1	-2	-1	1	-1	1

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება	საქართველომ უნდა გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი	-2	-2	-2	-2	-2	-2	-2	-2	2
	საქართველოს უნდა ჰქონდეს პროდასავლური კურსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რუსეთთან ურთიერთობებს გააუარესებს	2	2	2	2	2	2	2	2	-2
	სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაუქმდეს	-2	-2	2	2	2	2	-1	1	-1
	ევროკავშირთან ინტეგრაცია საფრთხეს უქმნის ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას	-2	-2	-2	-2	-2	-2	-2	-2	1
სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები	ყველა არჩევნებზე პარტიულ სიაში ყოველი მეორე წევრი უნდა იყოს ქალი	1	-2	1	-2	-2	0	-1	-1	-2
	უნდა აიკრძალოს მიწის უცხოელებზე გაყიდვა	1	2	-2	-2	-2	-1	-1	-1	2
	რელიგიური ინსტიტუტები, მათ შორის, მართლმადიდებლური ეკლესია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს	-2	1	1	2	2	1	-1	-2	-2
	თბილისმა სოხუმთან და ცხინვალთან უნდა გააფორმოს ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულება	-1	-2	-2	-2	-1	-2	-2	-2	1
	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში დასაშვებია სახელმწიფო მომსახურების უმცირესობების ენებზე მიღება	1	-2	-1	-2	2	1	-1	-1	-1
	გარემოს დაცვის მიზნით დიდი ჰესების მშენებლობა უნდა აიკრძალოს	-1	2	-1	-2	-1	-1	-1	2	-1
	გამონაბოლქვის შესამცირებლად უნდა აიკრძალოს მოძველებული მანქანები	1	-2	-2	-2	-2	-1	1	-2	-1
	იმ ბიზნესებმა, რომლებიც გარემოს აბინძურებენ, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახადი უნდა გადაიხადონ	1	2	-1	-1	-2	-1	-2	0	1
ეკონომიკა	სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადგილობრივი წარმოება უცხოური კონკურენციისგან იმპორტზე შეზღუდვების დაწესებით.	-2	1	-2	-2	-2	-1	-2	-2	2
	მდიდრებმა თავიანთი შემოსავლის უფრო დიდი წილი უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ბიუჯეტში	-1	-1	-2	-2	-2	0	-2	-2	1
	დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი	-1	0	2	2	2	2	-2	2	0
	სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხა უნდა გაიზარდოს	2	2	0	-2	-2	0	1	2	2
	საარსებო მინიმუმზე ნაკლები ყოველთვიური ხელფასის გადახდა კანონით უნდა იკრძალებოდეს	-1	2	-2	-2	-2	2	1	-2	2
	სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის დასაქმება	1	1	1	-2	-2	-2	-1	0	1

შენიშვნა ფერთა კოდების შესახებ:

2 – სრულად ეთანხმება;

1 – ეთანხმება;

0 – არც ეთანხმება, არც არ ეთანხმება ან არ აქვს პოზიცია;

-1 – არ ეთანხმება;

-2 – სრულად არ ეთანხმება.

დანართი 2

დანართი 2.1

ჯანდაცვა და განათლება - იდეოლოგიური განწზომილებების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (გენდერი, განათლება, დასახლების ტიპი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა).



დანართი 2.2

მართლმსაჯულება - იდეოლოგიური განზომილებების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (გენდერი, განათლება, დასახლების ტიპი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა).



დანართი 2.3

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება - იდეოლოგიური განზომილებების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (გენდერი, განათლება, დასახლების ტიპი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა)



დანართი 2.4

სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები - იდეოლოგიური განზომილებების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (გენდერი, განათლება, დასახლების ტიპი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა)



დანართი 2.5

ეკონომიკა - იდეოლოგიური განზომილებების განაწილება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (გენდერი, განათლება, დასახლების ტიპი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა)



დანართი 3

რესპონდენტთა იდეოლოგიური განაწილება, რომლებსაც პოლიტიკური პარტიებისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვთ



ავტორების შესახებ

გიორგი პაპავა წამყვანი ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევით ინსტიტუტი, (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი)

დავით კეშელავა მკვლევარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევით ინსტიტუტი, (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი)

ლევან კახიშვილი პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში (GIP)

დავით სიჭინავა კვლევითი დირექტორი, პარტიების პროგრამების სპეციალისტი კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში (CRRC)

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი| სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი

მრავალფეროვნება, პოზიციების თანაკვეთა და თავისუფალი სივრცეები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოტენციური ამომრჩევლები უფრო მეტად კულტურულად ლიბერალური და ეკონომიკურად მემარცხენე ღირებულების არიან, მაშინ, როცა თავად პარტია მემარჯვენე ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელია: „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველთა 94,2%-ს გაცილებით უფრო მემარცხენე შეხედულებები აქვს, ვიდრე თავად „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამავე ამომრჩევლის 91,5% გაცილებით უფრო კონსერვატიული იდეოლოგიის მატარებელია, ვიდრე პარტია.

2020 წლის არჩევნებში გამარჯვებული პარტია „ქართული ოცნება“ გაცილებით უფრო ახლოს დგას „საშუალო,“ იგივე მედიანურ ამომრჩეველთან.

მონაცემები, რომელსაც წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა, არ ადასტურებს საქართველოში უკიდურესი პოლარიზაციის არსებობას. თუკი განვიხილავთ ორ უმსხვილეს პარტიას - „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - მონაცემები ცხადყოფს, რომ 30 პოლიტიკური საკითხიდან ნახევრის შემთხვევაში აღნიშნული ორი პარტია ერთსა და იმავე პოზიციაზეა. ამას როგორც უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის ნიშანს ვერ განვიხილავთ. გარდა ამისა, ამომრჩეველთა პრეფერენციები არ ადასტურებს მკვეთრად გამოხატული ორი სოციალური ჯგუფის არსებობას, რომლებსაც ურთიერთგამომრიცხავი პრეფერენციები ექნებათ.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
www.southcaucasus.fes.de

FRIEDRICH EBERT STIFTUNG